**მტერმან ლოდი მომახვედრა, მოყვარემან ვარდის კონა, ეგრე მტერმა ვერ მატკინა, მოყვრისამან შემაღონა!** სულხან-საბა ორბელიანი


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხელის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 29 ოქტომბერი. 2021 წ. №194 (9314) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# ჩვენ წინ საქართველოა!



## თეა წულუკიანი:

ჩვენი ვალია, რომ ხელისუფლება გადააბაროს არა ლეშიჭამიებს, არა ქართველთმოძულეებს, არა იმათ, ვინც ბნელი წარსულის მოციქულები არიან და ახლა საკნებიდან იჭყიტებიან, არა იმათ, ვინც ებრძვის ილია მეორეს, არა იმათ, ვინც ებრძვის სიწმინდეს, ხატს და ჯვარს, არა იმათ, ვისაც უნდა საკუთარი ფეხის ქვეშ დამონებული ქართველი, არამედ ახალ თაობებს, იმ ბავშვებს, რომლებიც დღეს შემოგვყურებენ და რომელთა მომავლისთვისაც ჩვენ ვდგავართ მაგრად, ვდგავართ მყარად და შაბათს გავიმარჯვებთ დამაჯერებლად.

იხ. 3-4 გვ.

## გადარჩენისთვის ⑥ ბრძოლა სისხლში გვაქვს გამჯდარი!

ბიძინას ბიძინასგან

## ენგურის ხიდზე გადაადგილება უკანონოდ შეიზღუდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, მიმდინარე წლის 28-30 ოქტომბრის ჩათვლით, ოკუპირებული აფხაზეთიდან ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის მიმართულებით გადაადგილება უკანონოდ შეიზღუდა ყველა პირისთვის, სამედიცინო დახმარების საჭიროების მქონე ადამიანების გარდა.

„მსგავსი უკანონო გადაწყვეტილებები ხშირად უკავშირდება სხვადასხვა გამოგონილ მიზეზს. მათ შორის ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მიმდინარე არჩევნებთან დაკავშირებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ. უსაფრთხოების უზრუნველყოფას. რუსეთის საოკუპაციო ძალების მსგავსი დამაზიანებელი გადაწყვეტილებები 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების პირველ ტურთან დაკავშირებითაც დაფიქსირდა. თავისუფალ გადაადგილებაზე დაწესებულ შეზღუდვასთან დაკავშირებით ცენტრალური ხელისუფლების მიერ გააქტიურებულია „ცხელი ხაზი“ და ინფორმირებულია ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია“, — აცხადებენ სუსში.

## თამთა მეგრელიშვილი:

# კეზერაშვილი და ადეიშვილი უმძიმეს დანაშაულში არიან ჩართული

**ჩემი ინფორმაციით, დავით კეზერაშვილი და ზურაბ ადეიშვილი უკრაინაში ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ სქემაში არიან ჩართული და არ გამოვრიცხავ, ძალიან მალე ქართული მხარე მასზე გავიდეს,** — ასე ეხმიანება საჯარო მმართველობის დოქტორი თამთა მეგრელიშვილი საქართველოს და გერმანიის ფედერაციის საგამოძიებო უწყებების მიერ ერთობლივი ტრანსნაციონალური დანაშაულის გახსნის ფაქტს.

**„გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიციის სხვადასხვა დანაყოფისა და საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ერთობლივად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნეს და დანაშაულებრივი ჯგუფის შვიდი წევრი დააკავეს. საქართველოში, გერმანიის ფედერაციულ**





**რესპუბლიკაში და სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარე გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ: 2015 წელს, საქართველოს და ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქეებმა, პირდაპირი ფინანსური და სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ჩამოაყალიბეს შეთანხმებულად მოქმედი, სტრუქტურული ფორმის მქონე ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი. დანაშაულებრივი საქმიანობის პერიოდში, ორგანიზებული ჯგუფის წევრები, თაღლითურად დაეუფლნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეების კუთვნილ მილიონობით ევროს და მოახდინეს დანაშაულებრივი გზით მიღებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. ჩემი ინფორმაციით, დავით კეზერაშვილი და ზურაბ ადეიშვილი უკრაინაში ამ დანაშაულებრივ სქემაში არიან ჩართული და არ გამოვრიცხავ, ძალიან მალე, ქართული მხარე მასზე გავიდეს. საქართველოსა და ისრაელის მოქალაქეები საქმეში შემთხვევით არ ფიგურირებენ“,** — წერს მეგრელიშვილი Facebook-ზე.

საქართველოს პროკურატურამ გერმანულ მხარესთან თანამშრომლობით ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნა და დააკავა ორგანიზებული ჯგუფის 7 წევრი, რომლებმაც საქართველოში დააფუძნეს ექვსი შპს, რომელთა ბაზაზე მოაწყვეს ე.წ. ქოლცენტრი. ოპერატორებად უცხო ენის მცოდნე პირების დასაქმებით, დანაშაულებრივი ჯგუფის სამიზნეს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეები წარმოადგენდნენ, რომლებიც თაღლითობის მსხვერპლი ხდებოდნენ.



# მწყობრშია ავტომატური შაშხანების ქართულ-ებრაული საწარმო

**დაახლოებით ერთი წლის წინ გავაჟღერე ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი საწარმოს იდეა, ამ საკითხზე ინტენსიურად დავიწყეთ მუშაობა და თქვენ ხედავთ ავტომატური შაშხანების ერთობლივ საწარმოს,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა „დელტას“ ბაზაზე ნატოს სტანდარტის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ქართულ-ებრაული საწარმო „დელტა სიეიეის“ დათვალიერების შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ავტომატის ყველა დეტალი ადგილზე იქნება წარმოებული.

**„ეს არის კიდევ ერთი შესრულებული საქმე, ჩვენი დაპირება, რომელიც მე დაახლოებით ერთი წლის წინ გავაჟღერე, ამ საკითხზე ინტენსიურად დავიწყეთ მუშაობა და თქვენ ხედავთ ავტომატური შაშხანების ერთობლივ საწარმოს. აქ ჩვენ ჩამოვიტანეთ უმაღლესი დონის, ამერიკული ჩარხი-დანადგარები, ეს არის უმაღლესი დონის უახლესი ტექნოლოგია და ავტომატის წარმოების ყველა დეტალი აქ მზადდება. ჩვენ დღეს უკვე დავიწყეთ, ოფიციალურად გავხსენით საწარმო და დავიწყებთ M4-ის ტიპის მსგავსი GI-4-ების წარმოებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ვულოცავ „დელტას“ და მთლიანად თავდაცვის სამინისტროს ამ ძალიან მნიშვნელოვან საწარმოს. ამას გარდა, მოგეხსენებათ, რომ ავტომატის ყველა დეტალი, მათ შორის პლასტმასის დეტალები, ყველაფერი იქნება ადგილზე წარმოებული. დავატრენინგეთ ჩვენი პერსონალი ადამიანები, რომლებიც აქ მუშაობენ, ვულოცავ ყველას ამ მეტად მნიშვნელოვანი საწარმოს გახსნას“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა ქართულ-ებრაული საწარმო თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძესთან და თავდაცვის ძალების მეთაურ გიორგი მათიაშვილთან ერთად დაათვალიერა და წარმოების პროცესს ადგილზე გაეცნო. ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის GI-4 (5.56) ადგილობრივი წარმოების პროექტის განხორციელების პროცესი ირაკლი ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრობის პერიოდში დაიწყო, თავდაცვის სამინისტროსა და ებრაულ კომპანიას შორის ხელშეკრულება კი 2021 წლის მაისში გაფორმდა.

# უზრდელი გვარამიასთვის 100 000 ქართველი „ბიომასა“ ყოფილა!



**ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ჩვენთვის მთავარია ღირსება, თავისუფლება და ქვეყნის კეთილდღეობა. ეს არის ჩვენი ღირებულებები და მათი ღირებულებებია ხალხისთვის ბიომასის წოდება, ხალხზე ძალადობის მცდელობა და ასე შემდეგ,** — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მისი თქმით, ნიკა გვარამიამ თავისუფლების მოედანზე შეკრებილ ათიათასობით ადამიანს ბიომასა უწოდა.

**„ერთი ბელადი არის ციხეში, მეორე ბელადი არის თქვენი ტელევიზიის ხელმძღვანელი. ყველამ ვიცით, რომ „ნაცმოძრაობაში“ გვარამია მეორე კაცია. როდესაც ეს ადამიანი, ბიომასას უწოდებს იქ შეკრებილ ათიათასობით ადამიანს, ეს ყველაფერზე თავისთავად მეტყველებს. ეს არის სასოწარკვეთილების გამოხატულება“,** — აღნიშნა კობახიძემ.

**„ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებმა თავისი ღირებულებები აჩვენეს. „ჩვენ ჩვენი ღირებულებები ვაჩვენეთ. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ ჩვენთვის მთავარია ღირსება, თავისუფლება და ქვეყნის კეთილდღეობა. ეს არის ჩვენი ღირებულებები და მათი ღირებულებებია ხალხისთვის ბიომასის წოდება, ხალხზე ძალადობის მცდელობა და ასე შემდეგ. ესაა მათი ღირებულებები. რა თქმა უნდა, ამ ღირებულებებით ეს ადამიანები დამარცხდებიან, თავისი გვარამიებით, მშვილდაძეებით, კვესიტაძეებით და ასე შემდეგ. ეს არის მათი სახე — სიცრუის ტირაჟირება და ზიზღის ენა, რომელსაც მოქალაქეების წინააღმდეგ იყენებენ“.**

# გიორგი გამსახურდია: პაატა ბურჭულაძის სიტყვას ჩალის ფასი აქვს!



საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ვაჟი გიორგი გამსახურდია პაატა ბურჭულაძის განცხადებას ეხმაურება.

**„ეს ასენიზატორი „ნაცშპანასთან“ ერთად დადის და ისეთ სიბინძურეს და ტყუილებს კადრულობს ბიძინაზე, რომ თვით „ნაცელიტასაც“ არ დაესიზმრება. ეს არის რუსული ბანი, ეს არის ვოვას პირადი ლაქია, მისი სიტყვა კიდევ ჩალის ფასია. მალე მოუწევს ამას და რუსეთში დაფრთიანებულ ბიზნესმენებს რუსეთში გამგზავრება“,** — წერს გიორგი გამსახურდია.

# „ჩემი თბილისის საღამო, პატარძალივით ირთვება“...

**ჯერ გადარჩა...
შემდეგ განახლდა...**

**დღეს გუდიაშვილის მოედანი თბილისში ერთ-ერთი ულამაზესი და მოწესრიგებულია.**

**წესრიგს და სილამაზეს თავი რომ დავანებოთ, ისტორიული ძეგლების აღდგენა, წარსული სახის შენარჩუნებაა მთავარი. დაახლოებით 30 შენობა-ნაგებობას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, აქედან 22 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. 200-მდე ოჯახს დაუბრუნდა განახლებული, რეაბილიტირებული, გარემონტებული საცხოვრებელი ფართები — ეს უკვე იმ ადამიანების ბედნიერებაა, ვინც აქ, ამ უბანში ცხოვრობს.**

**წინ კიდევ ბევრი სამუშაოა, ბევრი ქუჩა და სახლია აღსადგენი — ესეც იქნება, თბილისელებს ამის იმედი აქვთ!**

**ეს ჩვენი ქალაქის ისტორიაა — მას უნდა მოვუფრთხილდეთ, შევინარჩუნოთ და კიდევ მეტად გავალამაზოთ — ეს ლოზუნგი არაა, თბილისელების სურვილია!**

მთავარია: „მართლაც ძალიან ლამაზია, იმედია, ხარისხიანად არის შერულებული სამუშაოები და იმედია, მოსახლეობა მოუფრთხილდება მაქსიმალურად, არ გააკეთებენ კედლებზე წარწერებს და ვანდალიზმის ფაქტები არ მოხდება“.

დიახ, კედლები არ უნდა აჭრელდეს და დიახ, ჯერ უბანი, შემდეგ ქალაქი, უნდა მოუფრთხილდეს!

* * *

**„ძეგლების ორნამენტებს, თითოეულ კარსა და ფანჯარას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. წინა ხელისუფლების დროს ეს მოედანი, შენობა-ნაგებობები საფრთხის ქვეშ იყო. საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც იბრძოლეს ამ ყველაფრის შესანარჩუნებლად. მადლიერებას გამოვხატავ მათ მიმართ. ისინი შეიძლება სხვა პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მადლიერება არის მნიშვნელოვანი. ეს ადამიანები არიან: ალეკო ელისაშვილი, ცირა ელისაშვილი, თამარა ამაშუკელი, ნინო კორძახია, ანა მარგველაშვილი, თიკო სულაძე, სანდრო სარალიძე, მაგდა ცოცხალაშვილი, გოგა ქართველიშვილი, თეა გალდავა, სალომე ჯაში, ზაზა ბურჭულაძე, არ მინდა ვინმე გამომრჩეს, ყველას ძალიან დიდი მადლობა. მინდა გავიხსენო ზურაბ ოსმანოვი, რომელიც ამ ძეგლებზე მუშაობდა და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა თითოეულ ორნამენტს, რომ მაქსიმალურად შენარჩუნებული ყო ავთენტურობა. სამწუხაროდ, ის კორონავირუსმა იმსხვერპლა. მადლობა მის ოჯახს და ვუსამძიმრებ მის ახლობლებს“,** — კახა კალაძე.




* * *

ეს თბილისელების ემოციებია, სოციალურ ქსელში გამოხატული:

**„მე ვნახე მშენებლობის პერიოდში — საძირკვლებს რომ ხსნიდნენ და ამაგრებდნენ... უძველესი ჭები აღმოაჩინეს, მთაწმინდიდან ჩამომდინარე ნაკადულებს ადრე არხები ჰქონდა, რომლითაც წყლები მტკვარში ჩაედინებოდა. შემდგომ სისტემა მოიშალა და წყლები საძირკველს აცლიდა სახლებს... ინჟინრებს და კონსტრუქტორებს ველაპარაკე, დამათვალიერებინეს საძირკველში აღმოჩენილი ისტორიული ფენები, ჭები და მიწური მაცივრები... ამ მონაკვეთზე ყველაფერი გაკეთდა, რომ აქაურობას არაფერი დაემუქროსო, შემდეგ ეტაპზე სოლოლაკს ავყვებით — ლერმონტოვის და ასათიანის ქუჩებსო... ეს იმაზე დიდი საქმეა, ვიდრე ლამაზი ფასადები და გამწვანებული სკვერი. ესაა პრობლემა, რომელიც 60-იანი წლებიდან იყო ცნობილი, ყველა წუხდა, ვიშვიშებდა და ვერავინ კიდებდა ხელს... ფაქტიურად, ძველი თბილისი განწირული იყო. ისევე როგორც რუსთაველს თეატრი და ოპერის შენობა... ჩათვალეთ, რომ ძველი თბილისის გადარჩენა დაიწყო! მადლობა!!!“**

**„ასეთი მერი თბილისს არ ჰყოლია... წარმატებები კახის... ძალიან ლამაზია გულს უხარია“....**

**„აჩვენეთ მელიასა და გრიგოლიას. ჩაატარეთ ექსპერიმენტი: დაინახავენ თუ ვერა“...**

**„ფასადის ფერები, განათებები, პატარ-პატარა დეტალებიც კი, ისევე როგორც მოაჯირები და კარები, ყველაფერი ულამაზესია გემოვნებით შესრულებული პროექტი“.**

**„ყველა დეტალზე კამათი მიდიოდა ალბათ. ძალიან ძნელია ასეთი სივრცის ასე კარგად გაკეთება“....**

**„ფიროსმანის ქალაქია და ხელახლა გადასახატია, იმდენად ლამაზია“.**

**„ბატონო კახა, რასაც აკეთებთ — მთელი გულით, დიდი სითბოთი და სიყვარულით აკეთებთ!!! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ — ყველა თქვენს — კეთილშობილურ საქმეებში!!!“**

**„ბატონი კახი როგორი მერიცაა, ვისურვებდი, ყველა ქალაქს ყავდეს ესეთი“ ვისწავლოთ კარგის დანახვა და დაფასება“ პრობლემები, მესმის, კიდევ ბევრია, მაგრამ როცა ვხედავთ, მთელი გულით აკეთებს და ზრუნავს ქალაქზე, ცდილობს, აღმოფხვრას პრობლემები, ესაა სწორედ დასაფასებელი... წარმატებები ბატონ კახის“.**

**„მთელი ბავშვობა ამ უბანში მაქვს გატარებული და სულ მეშინოდა სახლებთან გავლა, ისეთ დღეში იყო ყველა სახლი. შედგმული ქონდა ხის კოჭები გასამაგრებლად ამ გადმოქანებულ სახლებს და ისე იყო ათეულობით წელი. ულამაზესია“.**

**„როგორ შეიძლება არ დააფასო , არ მოგწონდეს და არ დაუჭირო მხარი!“**

**„ძველი თბილისის დიდებას,კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი შეემატა.დიდებულია,შთამბეჭდავია... ყოჩაღ კალაძეს! წარმატებები მას. ბრავო, კალაძე!“**

**„ეს სივრცე თუ წარმოგიდგენიათ, როგორ კეთდებოდა. ყველა ჩართული, დაპროექტებაში, ლუპით გასინჯული ყველა ჩუქურთმა, შუშა , მასალა და ა.შ.“**

# ჩვენ წინ საქართველოა!



## ირაკლი ღარიბაშვილი:

**...2012 წელს ჩვენი პარტიის დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით ამ ქვეყნის რიგითმა ჯარისკაცებმა მშვიდობიანი აქციით განვაიარაღეთ ავტორიტარული, ხალხის მჩაგვრელი რეჟიმი და ხელისუფლებას ჩამოვაშორეთ მკვლელების, ჯალათებისა და მოღალატეების პარტია, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეკლესიური და ანტიეროვნული ძალა,** — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის შემაჯამებელ შეკრებაზე სიტყვით გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

**„მოგესალმებით ჩემო თანამოქალაქენო, ჩემო თანამებრძოლებო, ჩემო მეგობრებო! მივესალმები ჩვენს ღირსეულ, ამაყ, თავისუფლებისმოყვარე და დაუმარცხებელ ქართველ ხალხს! მივესალმები სრულიად საქართველოს! ჩემთვის დიდი პატივია, საქართველოს ათი ათასობით მოქალაქის, ამდენი გულანთებული პატრიოტის წინაშე სიტყვით გამოსვლა. პირველ რიგში, მინდა გულწრფელი მადლობით დავიწყო ჩემი გამოსვლა. დიდი მადლობა თქვენი ერთგულებისთვის, ნდობისთვის, თავდადებისთვის, სიმტკიცისთვის, ბრძოლისა და დღეს აქ მობრძანებისთვის. დღეს აქ, თავისუფლების მოედანზე, თავისუფლებისთვის მებრძოლი ადამიანები შევიკრიბეთ, რომლებმაც 2012 წელს სწორედ აქ ვაჩვენეთ ქართველი ხალხის ძალა და სიბრძნე, ქართველი ხალხის მტკიცე სურვილი,იცხოვროს სამართლიან, თავისუფალ, დემოკრატიულ, მშვიდობიან და მტკიცე სახელმწიფოში, სადაც დაცულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, ღირსება და თავისუფლება, სადაც ადამიანი და მისი სიცოცხლე უმთავრესი ღირებულებაა. 2012 წელს ჩვენი პარტიის დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით ამ ქვეყნის რიგითმა ჯარისკაცებმა მშვიდობიანი აქციით განვაიარაღეთ ავტორიტარული, ხალხის მჩაგვრელი რეჟიმი და ხელისუფლებას ჩამოვაშორეთ მკვლელების, ჯალათებისა და მოღალატეების პარტია, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეკლესიური და ანტიეროვნული ძალა. ჩვენ დავაფუძნეთ ის ღირებულებები და ფასეულობები, რომლითაც ქვეყანა დღემდე იმართება. ჩვენ ვართ ხელისუფლება, რომელმაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივად შეძლო მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. ჩვენ საფუძველი ჩავუყარეთ ფუნდამენტურ რეფორმებს ჯანდაცვის, განათლების, ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის მიმართულებით. პროგრესი და წინსვლა ხელშესახებია ყველა სფეროში, საშინაო თუ საგარეო ფლანგზე. სახელმწიფო მოქალაქეს გვერდში დაუდგა, გავათავისუფლეთ დატერორებული ბიზნესი და მედია. რაც მთავარია, ხელისუფლება ხალხის სამსახურში ჩადგა და მოქალაქეზე ორიენტირებული გახდა. ხელისუფლება უსმენს და გრძნობს მოქალაქეების მაჯისცემას. ხელისუფლება ემსახურება ხალხს“.**

**ჩვენ ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ აღვადგინეთ სამართლიანობა, დავაკავეთ მჩაგვრელი და მოძალადე რეჟიმის მთავარი შემოქმედები, ახალაია, მერაბიშვილი, უგულავა, ციხის ჯალათები, მწამებლები და მკვლელები. სააკაშვილის ერთ-ერთი მთავარი ჯალათი მეგის ქარდავა, რამდენიმე კვირის წინ ჩამოვიყვანეთ უკრაინიდან საქართველოში,** —ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ქართული ოცნების“ შემაჯამებელ შეკრებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

**„1 ოქტომბერს კი თავად ამ სისხლიანი და მოძალადე რეჟიმის მთავარ შემოქმედს, საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობაზე უარის მთქმელ, ქვეყნის მოღალატე და ხალხის მჩაგვრელ, საქართველოდან გაქცეულ და ახლახან ლაჩრულად, ქურდულად შემოპარულ მიხეილ სააკაშვილს კუთვნილი ადგილი დიდი ხნით მივუჩინეთ ციხეში.**

**ადრე თუ გვიან, სამართალი ყველასთან მივა და ჩვენ არავის ვაპატიებთ ჩვენი ხალხის ჩაგვრას, არავის ვაპატიებთ ჩვენი ტერიტორიების დაკარგვას, არავის ვაპატიებთ ჩვენი მიწის გაყიდვას, არავის ვაპატიებთ ჩვენი პატრიარქის, სასულიერო პირებისა და ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტის, მართლმადიდებლური ეკლესიის ლანძღვასა და შეურაცხყოფას“...**

**ტერიტორიების 20% სააკაშვილის გაუაზრებელი თუ მოღალატეობრივი პოლიტიკის შედეგად დროებით ოკუპირებულია,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ქართული ოცნების“ შემაჯამებელ აქციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მომავალზე უნდა ავიღოთ სწორება, თუმცა წარსულის გახსენება და შეხსენება ძალიან მნიშვნელოვანია.

**„დღეს აღარავის უნდა მხოლოდ წარსულზე საუბარი, რადგან მომავალში უამრავი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. საქართველოსა და ჩვენი ხალხის წინაშე მრავალი პრობლემა და გამოწვევაა. ვებრძვით პანდემიას, ვიმყოფებით ძალიან რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში. ტერიტორიების 20% სააკაშვილის გაუაზრებელი თუ მოღალატეობრივი პოლიტიკის შედეგად დროებით ოკუპირებულია. ეკონომიკა ჯერ კიდევ არ არის განვითარების იმ დონეზე, როგორზეც დემოკრატიაა. ჯერ კიდევ ბევრ ადამიანს სჭირდება დახმარება. დიდ გამოწვევად რჩება უმუშევრობა და სიღარიბე. დიახ, ჩვენ მომავალზე უნდა ავიღოთ სწორება, თუმცა წარსულის გახსენება და შეხსენება ძალიან მნიშვნელოვანია. ისტორია ყველაზე კარგი მასწავლებელია და უნდა გვახსოვდეს, საიდან მოვდივართ, რა გზა გამოვიარეთ და აღარ უნდა გავიმეოროთ წარსულის შეცდომები, გამოუსწორებელი შეცდომები, სამოქალაქო ომი, ტერიტორიების დაკარგვა, ქვეყანაში კრიმინალური ბანდების თარეში, დიქტატორი სააკაშვილის მჩაგვრელი რეჟიმის მმართველობა“,** — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. ხალხს დღეს სჭირდება მშვიდობა, სტაბილურობა, სამუშაო ადგილები, კეთილდღეობა და არა არეულობა, ქაოსი, დესტაბილიზაცია, ბოიკოტი და რევანში.

**„ჩვენ ერთად, მეგობრებო, ერთობლივი ძალისხმევით, ყველა პრობლემას დავძლევთ. დარწმუნებული ვარ და მტკიცედ მჯერა, მომდევნო წლები იქნება აღმშენებლობის, მშვიდობისა და სტაბილურობის წლები, გაერთიანების წლები. ჩემი დიდი სურვილია, დავასრულოთ დაპირისპირება და გავერთიანდეთ. გავერთიანდეთ ისევე, როგორც ამას ჩვენი ეროვნული განძი და კულტურის სიამაყე, ჩვენი წინაპრების შექმნილი ქართული პოლიფონია გვასწავლის, ჩვენი მრავალჟამიერი გვასწავლის, სადაც განსხვავებული ხმები ერთიან ჰარმონიას ქმნიან. ჩვენ ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ, თბილისი გაიმარჯვებს, ზუგდიდი გაიმარჯვებს, ქუთაისი გაიმარჯვებს, ბათუმი გაიმარჯვებს, ოზურგეთი გაიმარჯვებს, რუსთავი გაიმარჯვებს, ფოთი გაიმარჯვებს, თელავი გაიმარჯვებს, თიანეთი გაიმარჯვებს, ქარელი გაიმარჯვებს, ხაშური გაიმარჯვებს, ცაგერი გაიმარჯვებს, ბაღდათი გაიმარჯვებს, წყალტუბო გაიმარჯვებს, სენაკი გაიმარჯვებს, მარტვილი გაიმარჯვებს, ხობი გაიმარჯვებს, წალენჯიხა გაიმარჯვებს, ჩხოროწყუ გაიმარჯვებს, ხელვაჩაური გაიმარჯვებს, საქართველო გაიმარჯვებს.**

**ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი“!..**

**ადრე თუ გვიან, სამართალი ყველასთან მივა და ჩვენ არავის ვაპატიებთ ჩვენი ხალხის ჩაგვრას, არავის ვაპატიებთ ჩვენი ტერიტორიების დაკარგვას, არავის ვაპატიებთ ჩვენი მიწის გაყიდვას, არავის ვაპატიებთ ჩვენი პატრიარქის, სასულიერო პირებისა და ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტის, მართლმადიდებლური ეკლესიის ლანძღვასა და შეურაცხყოფას“...**

## კახა კალაძე:




**...ჩემთვის შეუძლებელია ემოციის გარეშე გამოსვლა აქ შეკრებილი უამრავი ღირსეული, პატრიოტი ადამიანის წინაშე. დღეს ისევ ვდგავართ ერთად, რათა ვაჩვენოთ მთელ მსოფლიოს, რა ღირებულებები, რა ფასეულობები გვამოძრავებს, როგორი ქვეყანა გვინდა ავაშენოთ. დღეს აქ მთელი საქართველო, მისი ყველა კუთხის შვილები ვართ შეკრებილი, ის ადამიანები, ვინც საქართველოს სიყვარულმა გაგვაერთიანა სწორედ აქ, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, თბილისში. ალბათ, არავინ მიწყენთ, თუ პირველ რიგში სწორედ ჩემს თბილისს და თბილისელებს მივმართავ, სრულიად გულწრფელად გამოვხატავ იმ ემოციას, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი და ვგრძნობ ამ ქალაქის მიმართ. თბილისთან განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. ამ ქალაქმა მომცა ყველაფერი, რისი მოცემაც შეეძლო — ურთიერთობები, სიყვარული, მეგობრები და შესაძლებლობა, მეზრუნა თბილისზე და თბილისელებზე.**

**ამიტომ, მეც არასდროს ვზოგავდი თავს, რომ ყველა ამ სიკეთეზე სიკეთითვე მეპასუხა, მესახელებინა ჩემი ქალაქი, ჩემი ხალხი და ჩემი ქვეყანა. ამ ქალაქისთვის არა მხოლოდ კარგი, ყველაფერი საუკეთესო მინდა. მაშინ, როდესაც ჩემმა ხალხმა ამირჩია თბილისის მერად, მომცა შესაძლებლობა, უშუალოდ მემსახურა ჩემი ქალაქისთვის, ჩემზე ბედნიერი და ამაყი, ალბათ, დედამიწაზე არავინ იყო. ვერავინ აღწერს იმ დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით გაჯერებულ განცდას, რომელიც მაშინ დამეუფლა და რომელიც არასდროს ტოვებს ჩემს გულს. ჩემი ქალაქის, თბილისელების მხრიდან გამოცხადებული ნდობა ის ფასეულობაა, რომელსაც აუცილებლად გავამართლებ, სულ რომ სიცოცხლის ფასად დამიჯდეს. მე ასე მწამს, ასე მიცხოვრია და ასე ვიცხოვრებ, რადგან მჯერა ჩემი ქვეყნის, ჩემი ხალხის და ჩემი ქალაქის უკეთესი მომავლის.**

**მე დღეს ძალიან ბევრი შემიძლია, ვისაუბრო თბილისზე, იმაზე, რისი გაკეთება შევძელი ჩემს გუნდთან ერთად, იმაზეც, რისი გაკეთებაც ჯერ ვერ მოვასწარით, მაგრამ რასაც აუცილებლად გავაკეთებთ. ბევრი შემიძლია ვისაუბრო მასშტაბურ პროექტებზე, რომლებსაც სამომავლოდ ვგეგმავთ თბილისისთვის. თუმცა, ყველას გვესმის, რომ 30 ოქტომბერს ჩვენ, პირველ რიგში, ღირებულებითი არჩევანის გაკეთება მოგვიწევს და დარწმუნებული ვარ, თქვენს სწორ არჩევანში.**

**პირველ რიგში, თითოეულ თქვენგანს გადაგიხდით უდიდეს მადლობას 2 ოქტომბრის გამარჯვებაში შეტანილი წვლილისთვის. ეს არჩევნები იყო ბევრად მეტი, ვიდრე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ეს იყო არჩევნები, სადაც საზოგადოებას კიდევ ერთხელ უნდა გაევლო ზღვარი ძალადობასა და თავისუფლებას შორის, სიცრუესა და სიმართლეს შორის, უსამართლობასა და სამართლიანობას შორის, არეულობასა და მშვიდობას შორის, წარსულში დაბრუნებასა და მომავლის პერსპექტივას შორის“...**

**ჩვენ 2 ოქტომბერს კიდევ ერთხელ ვაჩვენეთ ყველას, რომ ქართველები თავისუფლებისმოყვარე, სამართლიანი და სწორი ღირებულებების მქონე ხალხი ვართ. ყოველმა მეორე მოქალაქემ ნდობა გამოუცხადა ჩვენს პოლიტიკურ ძალას, რომელიც, როგორც მმართველი პარტია, არის ამ ღირებულებების გარანტი ჩვენს ქვეყანაში.**

**ჩვენ ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაგვაკისრა პასუხისმგებლობა, დავიცვათ ჩვენი სახელმწიფოსა და ეკლესიის სიმტკიცე, დავიცვათ ადამიანის ღირსება და თავისუფლება. დღესაც, 21-ე საუკუნეში ჩვენი ეროვნული ფასეულობების — მამულის, ენისა და სარწმუნოების დაცვა ჩვენს ყოველდღიურ ბრძოლასა და თავდადებას მოითხოვს.**

**ცხრა წლის წინ, ქართველი ხალხის ერთობამ, ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით, შეძლო ბოროტი, მახინჯი სისტემის დამარცხება. თავისუფლებისმოყვარე ქართველმა საზოგადოებამ უარი უთხრა ძალადობას, სისასტიკეს, ადამიანის ღირსების ფეხქვეშ გათელვას და სიცრუეს. ეს ის მონაპოვარია, რომელსაც გაფრთხილება სჭირდება,** — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ თავისუფლების მოედანზე აქციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

**...გამარჯვება უნდა მივიყვანოთ ბოლომდე და ვაჩვენოთ როგორც ერთმანეთს, ისე მთელ მსოფლიოს, რომ ამ უდიდესი კულტურის მქონე ქვეყანაში ადამიანის ღირსებისა და რწმენის შეურაცხყოფის ადგილი არ არის. სამწუხაროდ, ეს პოლიტიკური ძალა, ჯერ კიდევ ახერხებს ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის შეცდომაში შეყვანას. მეტიც, ეს დესტრუქციული განწყობა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მიმართ, ანადგურებს იმ ადამიანებსაც, ვინც თავად წარმოადგენენ ამ პოლიტიკურ ძალას. ამიტომ, ჩვენ ეს ადამიანებიც უნდა დავიხსნათ ძალადობრივი იდეოლოგიის ტყვეობისგან, უნდა შევეცადოთ, ავუხილოთ თვალი, მოვაქციოთ სახელმწიფოსა და საკუთარი ხალხის პატივისცემისკენ. ამ არჩევნების მეორე ტურმა ყველა ქალაქში, ყველა მუნიციპალიტეტში, ყველას უნდა დაანახოს, რომ ეს ქვეყანა ჩვენი — მშვიდობისმოყვარე, საკუთარი ქვეყნის მოყვარული, საკუთარი ისტორიის, სახელმწიფოსა და ეკლესიის პატივისმცემელი ადამიანების სამშობლოა და არა უსამშობლო ავანტიურისტების პოლიტიკური სარბიელი.**

**სწორედ ამიტომ, 30 ოქტომბერს ქუდზე კაცი უნდა მივიდეთ საარჩევნო ყუთებთან და საბოლოო წერტილი დავუსვათ ბოროტებას, სიცრუესა და დესტრუქციას ქართულ პოლიტიკაში. 30 ოქტომბერს საბოლოოდ უნდა გავიმარჯვოთ ბოროტებაზე; უნდა გავიმარჯვოთ ღირებულებით ბრძოლაში, რათა ამ საბოლოო გამარჯვებით კარი გავუხსნათ ჩვენი ქვეყნის მომავალს, კარი გავუხსნათ, კეთილშობილ, პატრიოტ ადამიანებს პოლიტიკაში; კარი გავუხსნათ ყველა იმ პოლიტიკურ ჯგუფს და პარტიას, რომელსაც რეალურად ადარდებს ამ ქვეყნის ბედი, რომელსაც შეუძლია, საკუთარი სიტყვითა და საქმით შექმნას ქვეყნისთვის სასარგებლო პოლიტიკური დღის წესრიგი, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე რადიკალური ჯგუფები მათ ადგილს არ ტოვებდნენ ქართულ პოლიტიკაში.**

**30 ოქტომბერს ჩვენ საბოლოოდ უნდა დავასრულოთ მოჯადოებულ წრეზე სიარული და მეორე დღიდანვე, ყველამ ერთად უნდა დავიწყოთ ახალი, მომავალზე და პროგრესზე ორიენტირებული საქართველოს შენება.**

იხ. 4 გვ.

# ჩვენ წინ საქართველოა!



## კახა კუჭავა:

...ყოველთვის მჯეროდა და მჯერა, რომ თითოეულ ჩვენგანს თავის წვლილი შეაქვს საქართველოს მომავლისთვის, მიუხედავად იმისა, თუ რა პროფესიას წარმოვადგენთ, დღეს ჩვენ ყველა ამ ქვეყნის ჯარისკაცები ვართ, რომლებიც ერთად ვიბრძვით ჩვენი ქვეყნის გამარჯვებისთვის.

მე ერთ ჩვეულებრივ ოჯახში გავიზარდე, პატივისცემის, სიყვარულის, მიტევების, ჩვენი ისტორიისა და კულტურის საწყისებზე და ყველაზე მთავარი, რაც ვისწავლე, არის ის, რომ რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, უნდა ვაკეთებდეთ გულით, ვიყოთ მართლები საკუთარ თავთან და საკუთარ ხალხთან, ვაკეთოთ ის, რაც ჩვენ ქვეყანას და მომავალს წაადგება.

ჩვენ მოვიარეთ მთელი საქართველო, ყველა რეგიონი, ყველა მუნიციპალიტეტი. უნიკალური, გამორჩეული, განუსაზღვრელი შესაძლებლობის მქონე სამშობლო გვაქვს.

სწორედ, თითოეული მუნიციპალიტეტის არსებული შესაძლებლობების გამოყენებისთვის და ახლის შექმნისთვის უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. საქართველო ვერ იქნება ძლიერი, თუ არ იქნება ძლიერი თბილისი და ძლიერი რეგიონები.

ძალიან ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ თითოეულმა დაინტერესებულმა ადამიანმა მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს არის ის მიდგომა, რაც ძალიან სჭირდება რეგიონების განვითარებას. განსაკუთრებით მინდა მივმართო ახალგაზრდებს, ჩვენი ქვეყნის მომავალს — მათი ინტელექტი, ახალგაზრდული ენერგია, ჟინი და მოტივაცია გამოიყენონ ქვეყნის საკეთილდღეოდ და მაქსიმალურად ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ჩვენი მხრივ გპირდებით, რომ თქვენთან ერთად გავაგრძელებთ ძლიერი, ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას, სადაც ყველას ექნება საკუთარი შესაძლებლობების გამოყენების საშუალება.

ჩვენი გუნდის მთავარი საზრუნავი და ღირებულება ყოველთვის იყო ადამიანი და გავაკეთებთ მაქსიმუმს იმისთვის, რომ თითოეულმა ადამიანმა სწორედ ჩვენს ქვეყანაში შეძლოს საკუთარი თავის გამოვლენა, თანაბარი შესაძლებლობების პირობებში და მათი შრომა გახდეს დაფასებული.

დღეს ჩვენ გვაქვს ევროპული ტიპის საპარლამენტო რესპუბლიკა. პარლამენტი, თავის მხრივ, ყოველთვის იქნება როგორც მთავრობის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის გვერდით, რათა ხელი შევუწყოთ ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას და განვითარებას. „ქართული ოცნების" პოლიტიკა იზიარებს ჩვენი ხალხის ისტორიულ არჩევანს და ეს არის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პოლიტიკა. ევროინტეგრაცია არ არის მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური არჩევანი, ეს ისტორიული არჩევანია და ჩვენი თვითმყოფადობის შენარჩუნების საუკეთესო გზა. „ქართული ოცნების" ხელისუფლებამ შეძლო ახალ დონეზე აეყვანა ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოსთან სტრატეგიული პარტნიორობა. დღეს ეს ურთიერთობები უმაღლეს ისტორიულ ნიშნულზეა. ჩვენი მიზანია დავუბრუნდეთ ევროპულ ოჯახს და ჩვენ ამ მიზანს აუცილებლად მივაღწევთ.

დღეს, ისე როგორც არასდროს გვჭირდება გამარჯვებები. ჩვენ უნდა გვჯეროდეს ჩვენი ქვეყნის გამარჯვების და წარმატების.

გამარჯვებაა, როცა თითოეული ოჯახი იქნება ძლიერი. ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ სიღარიბეზე, გამოწვევებზე, რომელიც სამწუხაროდ განუყოფელი ნაწილია ჩვენი ცხოვრების და აუცილებელია რომ მათთან გამკლავება იყოს ბრძოლის მთავარი მიზანი. შემდეგი სამი წელი ქვეყანაში უნდა დაეთმოს მხოლოდ და მხოლოდ წინსვლას, რეფორმებს — დაწყებული რეფორმების დასრულებას და ახალი რეფორმების დაწყებას.

რა თქმა უნდა, მთავარ გამოწვევად ჯერ კიდევ რჩება ოკუპაცია. მე მინდა მივესალმო ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს და დებს, უნდა დავპირდე მათ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ერთად, გამთლიანებულ და მშვიდობიან საქართველოში ვიცხოვროთ.

საქართველო მოწინავე ქვეყანაა რეგიონში, თუმცა ეს საკმარისი არ არის. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ერთ-ერთი საუკეთესო, გამორჩეული ქვეყანა ვართ და ამას ჩვენ შევძლებთ შრომითა და საყოველთაო ეროვნული ერთიანობით.

მე მჯერა, რომ ჩვენ, ყველას გვინდა ვიხილოთ გაერთიანებული, ძლიერი, მიზანდასახული, შეუპოვარი და რაც მთავარია, გამარჯვებული საქართველო და ეს შეუძლებელია, თუ არ ვიდგებით ერთად! ერთად უნდა ავაშენოთ ეს ქვეყანა იმ წინაპრებისა და გმირების სახელით, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს დამოუკიდებლობას და ერთიანობისთვის ბრძოლას.

ჩემთვის არსებობს ერთადერთი, მსოფლიოში გამორჩეული ისტორიის, კულტურის, რწმენისა და ევროპული მომავლის მქონე, ძლიერი და გაერთიანებული საქართველო.

მაშინაც, როცა მივიღე გადაწყვეტილება ჩვენს დიდ გუნდთან ერთად დამეწყო პოლიტიკური საქმიანობა, ვთვლიდი და დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ „ქართული ოცნება" უალტერნატივო პოლიტიკური ძალაა.

მოგიწოდებთ ყველას, მივიდეთ არჩევნებზე და გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთო არჩევანი. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობა არჩევანს გააკეთებს პროგრესის, სტაბილურობის, ადამიანის თავისუფლებისა და ღირსების სასარგებლოდ.

მე მჯერა, რომ 30 ოქტომბერი „ქართული ოცნების", ქართული სახელმწიფოს გამარჯვებით დასრულდება და ეს გამარჯვება იქნება გარანტი განვითარების, სტაბილურობისა და სიმშვიდის.

ჩემი ოცნებაა, რომ ჩემმა სამმა შვილმა და თქვენმა შვილებმა იცხოვროს ევროპულ, დემოკრატიულ, უსაფრთხო და ერთიან საქართველოში და ეს ოცნება აუცილებლად ახდება.

ერთად მივიყვანოთ გამარჯვება ბოლომდე!

## თეა წულუკიანი:

...მადლობა, პირველ რიგში, ნდობისთვის, ამდენწლიანი მხარდაჭერისთვის, გამძლეობისთვის. მე მინდა დავიწყო და ჩემი დღევანდელი გამოსვლა მივუძღვნა ჩემზე უფროს თაობებს და ჩემზე უმცროსებს, ახალგაზრდებს. ჩვენ, ვინც ვართ დღეს აქ, ხელისუფლებაში ზოგმა გადაიარა 40 წელი, ზოგმა 50 წელიწადსაც მივუკაკუნეთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვინმემ კი არ გვიამბო, როგორ მოიპოვა ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა, ჩვენ ეს ვნახეთ ჩვენი თვალით, როდესაც ვიყავით ბავშვები და ახალგაზრდები. ჩვენ ვნახეთ, რომ ჩვენმა უფროსმა თაობებმა დიდი გასაჭირი გამოიარეს, ბევრი ბრძოლა გადაიხადეს. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენს ქვეყანას არ ჰქონდა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დროშა, ჰიმნი, არ ჰყავდა ჯარი და გვარდია, არ ჰყავდა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს პოლიცია, სამაშველო სამსახური. ისინი იბრძოდნენ სუვერენიტეტისთვის, მათ შემოგვინახეს რწმენა, რომელსაც დღეს ებრძვის ბოროტი ძალა. მათ შემოგვინახეს ენა, შემოგვინახეს კულტურა და შემოგვინახეს ჩვენი სამშობლო.

ჩვენი თაობა და ასაკი ასევე ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ჩვენი თვალით ვნახეთ სისხლი, ჩვენი თაობის, ჩვენი ასაკის გოგო-ბიჭების დაღვრილი სისხლი, აი, აქ, რუსთაველზე, ასევე, ქვეყნის სხვადასხვა ადგილას ომებსა და ბრძოლებში დაღვრილი სისხლი. ასეთი ბავშვობიდან და ახალგაზრდობიდან მოვდივართ ისინი, ვინც ვართ დღეს ხელისუფლებაში. მადლობა წინა თაობებს, ვინც მოგვიყვანა დღემდე იმისთვის, რომ დღეს ჩვენ აქ, თავისუფლების მოედანზე, ერთად ვმდგარიყავით. მე მინდა შევახსენო ყველას, როგორც ჩემი თაობის წარმომადგენელმა, რომ დღეს ჩვენ, „ქართულ ოცნებას", ხელისუფლება დემოკრატიული წესით გვაქვს მოპოვებული.

სააკაშვილო, გამოიხედე ციხის საკნიდან! ნახე, რამდენი თავისუფალი ქართველია აქ, რომელსაც ახსოვს შენი მოძალადეობრივი რეჟიმი, რომელსაც არ უნდიხარ! დღეს ჩვენ კვლავ ვიბრძვით მის წინააღმდეგ. ხომ ბევრს გეგონათ, ჩვენო მხარდამჭერებო, რომ თუ ეს დიდი ბოროტება ჩაჯდებოდა ციხეში, ბრძოლაც დამთავრდებოდა, არა, უკეთესი საქართველოსთვის ბრძოლა ასე მარტივად არ მთავრდება. ასე ცხოვრობდა ყველა ამ მიწაზე ჩვენამდე და ჩვენც წინ გვაქვს კიდევ ახალი და ბევრი ბრძოლები.



მე სახლში ერთ პატარა გოგოს ვზრდი, ქართველ გოგოს, რომელიც არის მეგრელი პატარა გოგო. რომ არა ბედის უკუღმართობა — მასავით პატარა გოგოები და ბიჭები უკვე საუბედუროდ არის ასეულობით ათასობით ქვეყანაში დევნილი საკუთარი სოხუმიდან, საკუთარი ქალაქიდან, რომ არა ეს უბედურებები, ეს ბავშვები არა თბილისში, არამედ აფხაზეთში, სამაჩაბლოში უნდა დაბადებულიყვნენ. შაბათს მე მოვუწოდებ ყველა დედას, არჩევნებზე მივიდეთ. ქართველ დედებს არ გვეკადრება, რომ ამ ბავშვებს დაუტოვოთ ჩვენი საბრძოლველი ბრძოლები. შაბათს ერთ მხარეს დევს ბოროტება, რომელმაც ჩვენი შვილები ჩახოცა, ისეთ გაუაზრებელ ომში, რომ შემდეგ მიწასაც არ მიაბარა. შაბათს ერთ მხარეს დევს ის ფარისევლური ძალა, რომელიც ზეიმობდა ტერიტორიების დაკარგვას, ისედაც ერთი ბეწო საქართველოსი. მეორე მხარეს ვართ ჩვენ, დიახ ჩვენ. ჩვენ ვართ ის ხელისუფლება, რომელმაც თუნდაც ერთი მაგალითი კმარა, რომ ეს ძალა დავახასიათო.

ჩვენმა ხელისუფლებამ, მსოფლიოში ყველაზე მაღალი რეპუტაციის მქონე ტრიბუნალიდან, სტრასბურგიდან სახლში ჩამოუტანა ჩვენს შვილებს ვერდიქტი, სასამრთლო ვერდიქტი, არა პოლიტიკური განცხადება, არა პოლიტიკური პრანჭიაობა, არამედ ვერდიქტი, რომელშიც წერია, რომ ქართველები, აფხაზები, ოსები ძმები არიან და რომ ომი არის ცუდი! რომ დევნილები უნდა დავბრუნდეთ, რომ ჩვენი შვილები უნდა დაბრუნდნენ თავიანთ თანატოლებთან, ამისათვის ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ!

რა კავშირი აქვს ამას შაბათის არჩევნებთან? კავშირი არის მარტივი. იმიტომ რომ, ერთ მხარეს არის სიყალბე, ქართველთმოძულეობა, ადამიანთმოძულეობა, ფსევდოევროპელობა და მეორე მხარეს არის გულწრფელი ძალა. სია, თუ რა ვაკეთეთ, არის გრძელი, ამისათვის მე დღეს დრო არ მეყოფა, მაგრამ ჩვენ დღეს გვყავს დამოუკიდებელი სასამართლო აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, რომლის წინაშე ჩივილსაც თქვენ აზრიანად მიიჩნევთ, ჩვენ დღეს გვაქვს საპატიმრო, სადაც პატიმარს ციხის ინსპექტორის არ ეშინია, დღეს ჩვენ გვყავს პრემიერ-მინისტრი, რომელიც აქ ბრძანდება და რომელიც არის ის, ვინც ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას არა თავისთვის, არა ჩემთვის და ჩემნაირებისთვის, არამედ თქვენთვის, ახალგაზრდებისთვის. ჩვენ ვართ ის ხელისუფლება, რომელმაც გახსნა საზღვრები ევროკავშირთან და ნატოსა და ევროკავშირის კარზე კაკუნი, რომელიც მატყუარა სააკაშვილმა კი არ დაიწყო, ეს დაიწყო იმ დიდმა ჯგუფმა ქართველი დიპლომატების, რომელთაგან ზოგი გარდაცვლილია, ზოგი დღეს ასაკშია. აი ეს კაკუნი, ჩვენ ამ პროცესის შედეგი დავაყენეთ და არ დარჩა უბრალოდ კაკუნად. წინ გრძელი გზაა ევროპაში იმ კუთვნილი ადგილის დამკვიდრებამდე, რაც ჩვენ შვილებს ნამდვილად ეკუთვნით.

რა იქნება მომავალში? მომავალში ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ორ ყველაზე დიდ მტერს ვებრძოლოთ, რომელიც ყველაზე ძნელი დასამარცხებელია. ეს არის მიმდინარე ოკუპაცია და ეს არის სიღარიბე. ეს არის ის ორი რეალური მტერი, რომელიც დღეს ჰყავს ჩვენს ქვეყანას. სამი წლის მანძილზე აღარ იქნება არჩევნები, მაგრამ არჩევნები ერთ დღეს ნამდვილად იქნება კონსტიტუციურ ვადებში. ჩვენი ხელისუფლების ვალია, რომ ხელისუფლება გადააბაროს არა ლეშიჭამიებს, არა ქართველთმოძულეებს, არა იმათ, ვინც ბნელი წარსულის მოციქულები არიან და ახლა საკნებიდან იჭყიტებიან, არა იმათ, ვინც ებრძვის ილია მეორეს, არა იმათ, ვინც ებრძვის სიწმინდეს, ხატს და ჯვარს, არა იმათ, ვისაც უნდა საკუთარი ფეხის ქვეშ დამონებული ქართველი, არამედ ახალ თაობებს, იმ ბავშვებს, რომლებიც დღეს შემოგვყურებენ და რომელთა მომავლისთვისაც ჩვენ ვდგავართ მაგრად, ვდგავართ მყარად და შაბათს გავიმარჯვებთ დამაჯერებლად.

მადლობა ყველას, ყველანი მივდივართ შაბათს არჩევნებზე, ვიმარჯვებთ და ვაგრძელებთ შრომას. ის, რაც მე ჩამოვთვალე, ის, რასაც სხვები ჩამოთვლიან, ის სირთულეები, რაც ყველას ოჯახში ტრიალებს, რა თქმა უნდა, მოსაგვარებელია, ეს ჩვენი თაობის მძიმე ხვედრია, მაგრამ ეს ის ხვედრია, რომელიც რჩეულთა ხვედრია, ჩვენ ჩვენი შრომით შევძლებთ იმას, რომ ჩვენს ბავშვებს, ახალგაზრდებს უკეთეს საქართველოს გადავაბარებთ. ღმერთი გფარავდეთ! წინ გამარჯვებისკენ!

„ქართული ოცნების" მრავალრიცხოვანი წინასაარჩევნო შეკრება პარტიის ჰიმნით დასრულდა. გულწრფელი, მტკიცე და ერთსულოვანი იყო თავისუფლების მოედანზე „ქართული ოცნების" შემაჯამებელი ფართომასშტაბიანი საარჩევნო შეკრება.

მხარდამჭერებს პრემიერ-მინისტრისა და თბილისის მერის გარდა სიტყვით მიმართეს „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ, ვიცე-პრემიერმა და კულტურის მინისტრმა, თეა წულუკიანმა, პარლამენტის თავმჯდომარე, კახა კუჭავამ, და „ქართული ოცნების" რუსთავის მერობის კანდიდატმა ნინო ლაცაბიძემ. შეკრებაში მონაწილეობის მისაღებად მმართველი პარტიის მხარდამჭერები მთელი საქართველოდან ჩამოვიდნენ.





მთაწმინდის პარკში ირმა გურიელის, თინა მგალობლიშვილისა და ირინა მათიაშვილის ვარსკვლავები გაიხსნა

# ლეგენდარული ტელესახეების ვარსკვლავები

**მთაწმინდის პარკში, ტელეანძის მიმდებარედ პირველი ტელევიზიის სამი ტელესახის, ირინა მათიაშვილის, თინა მგალობლიშვილისა და ირმა გურიელის ვარსკვლავები გაიხსნა.**

ამ ტრადიციას საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2013 წელს ჩაუყარა საფუძველი და სახელობითი ვარსკვლავები გაუხსნა ლეგენდარულ ტელესახეებს: ალექსანდრა მაჭავარიანს, ლია მიქაძეს, ჯულიეტა ვაშაყმაძეს, ჟანეტა არჩვაძეს, ნუგზარ ჯუღელს, თენგიზ ნათაძეს და დავით სოკოლოვს.

**ირინა მათიაშვილმა** საქართველოს რადიოში 1964 წელს დაიწყო მუშაობა, ტელევიზიაში კი 30 წელზე მეტი გაატარა. წლების განმავლობაში მიჰყავდა საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“, იყო არაერთი გადაცემის ავტორი და წამყვანი. ის ღირსების ორდენით არის დაჯილდოებული.

**„ძალიან ვღელავ. განსაკუთრებული არაფერი გამიკეთებია, ალბათ, პატარა წვლილი შევიტანე პირველი ქართული ტელევიზიის განვითარებაში. მადლობა მინდა, ვუთხრა ტელემაყურებლებს, ვისაც ვახსოვარ. რასაკვირველია პირველ არხს მადლობა, ასეთი ზეიმისთვის. ძალიან დიდი მოვლენა არის, მაგრამ ვარსკვლავი სხვა რამ არის ჩემს წარმოდგენაში და ალბათ, დრო დამჭირდება, რომ დავიჯერო ეს ყველაფერი“,** — განაცხადა ირინა მათიაშვილმა.

**თინა მგალობლიშვილი** საქართველოს რადიოში კონკურსის შედეგად მოხვდა, ტელევიზიაში პირველად ქართული ხალხური პოეზიის შესახებ წაიყვანა გადაცემა, შემდგომ წლებში კი ლიტერატურული გადაცემები და საინფორმაციო პროგრამა „მოამბე“ მიჰყავდა. გარდა ამისა, მას 600-მდე კინოგმირი ჰყავს გახმოვანებული, მათ შორის მარიტა კინოფილმში „ნატვრის ხე“. სწორედ ამიტომ თინა მგალობლიშვილს ხშირად მოიხსენიებენ სამი მიკროფონის დედოფლად.

**„შემოქმედებითი ცხოვრება არ არის სტაბილური, არის აღფრთოვანება, იმედგაცრუება, წარმატება, ტკივილი, სიხარული. ასეთი მონაცვლეობაა ემოციების. ამიტომ, რთულია ეს გზა და როდესაც ამ გზით დადიხარ ათეული წლის განმავლობაში და მოხვალ აქ, ეს არის გამარჯვება. ძალიან გახარებული ვარ, ვარსკვლავი ნიშნავს გამარჯვებას. გავიმარჯვეთ. ამისთვის დიდი მადლობა ყველას“,** — განაცხადა თინა მგალობლიშვილმა.

**ირმა გურიელს** საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება აქვს მინიჭებული. ის საქართველოს ტელევიზიაში ოთხი ათეული წელი მუშაობდა. საქართველოს პირველი არხის ოქროს ფონდში დაცულია ტელერადიო სპექტაკლებში მის მიერ განსახიერებული 50-მდე როლი და 60-მდე სიმღერა, რომლის ტექსტების ავტორიც თავად არის.

**„ბედნიერი დღეა. ბედნიერებაა, როცა ხედავ, შენი შრომა დაფასდა. ვისურვებდი, რაც შეიძლება ბევრს ჰქონდეს ასეთი ბედნიერი წუთები. ჩვენი ტელევიზიის თანამშრომლებსაც და სრულიად საქართველოში. ყველა იყოს ბედნიერი, გახარებული და ყველას შრომა, თავდადება იყოს დაფასებული“,** — განაცხადა ირმა გურიელმა.

წელს საქართველოს ტელევიზიას 65 წელი უსრულდება, შესაბამისად, აღნიშნული სამი ვარსკვლავის გახსნას სიმბოლური დატვირთვა აქვს.

# ენერგეტიკის პატრიარქი

## რევაზ არველაძე – 80



ჩვენო რევაზ!

სამეგობრო წრის წარმომადგენლები, ჯგუფელები, კურსელები, დარგის და სახელმწიფო სტრუქტურების კოლეგები გულითადად გილოცავთ მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს — დაბადების დღიდან 80 წლისთავს!

საზოგადოება შენ გიცნობს მხოლოდ მოსაწონი თვისებებით — პატიოსნება, მაღალი საინჟინრო და სამეცნიერო დონე, გამორჩეული სამსახურები ხალხის ინტერესების დაცვით.

ასე იყო ყველა რგოლში და ყველა დონეზე, განსაკუთრებით მაღალ სახელმწიფოებრივ საპასუხისმგებლო სამსახურებში: მთავრობის აპარატში, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელობაში, დარგის მინისტრის პოსტზე, ქვეყნის პარლამენტში.

ჩვენ ეს გვეამაყებოდა და განგვაწყობდა შენს პატივსაცემად.

ასე იყო, ასე არის და ასე იქნება მომავალშიც!

მივესალმებით შენს მეუღლეს, მოვიკითხავთ დიდი პატივისცემით და ვუსურვებთ პირად ჯანმრთელობას!

მივესალმებით შენს ვაჟიშვილებს და ვუსურვებთ წარმატებებს!

ჩვენი ახლო ჯგუფი გვიგულე შენს დასაყრდენად და ერთგულ მეგობრებად კიდევ ათეული წლები!

გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, ბედნიერებას ოჯახში!

**გივი აბდუშელიშვილი, გუჩა დათუნაიშვილი, თამაზ ლეკიშვილი, დავით ნარმანია, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, ალეკო ხუნდაძე.**

ქ. თბილისი 2021 წ. 29 სექტემბერი

## პეტრე ბერაია 75 წლისაა

# ღირსეულად განვლილი გზა



პეტრე ბერაიამ ფოთის მე-5 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. ოდესის საზღვაო-საინჟინრო ინსტიტუტში საზღვაო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობაზე. მუშაობდა ქ. ფოთის საზღვაო ნავსადგურში პირველი საწარმოო რაიონის სამუშაოთა მწარმოებლად, შემდეგ უფროს სამუშაოთა მწარმოებლად. 1972 წელს აირჩიეს ქ. ფოთის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ხოლო 1976 წელს — ქ. ფოთის საზღვაო ნავსადგურის პარტიული კომიტეტის მდივნად. სხვადასხვა დროს იყო ქ. ფოთის პარტიის საქალაქო კომიტეტში ჯერ მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და კავშირგაბმულობის, შემდეგ კი საორგანიზაციო განყოფილების გამგე, 1984 წელს — ქ. ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსი, ხოლო 1986 წელს — ქ. ფოთის პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1993 წელს დაინიშნა საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის მრჩევლად საზღვაო საკითხებში.

1995-2003 წწ. ქ. ფოთის მოსახლეობამ ორჯერ აირჩია პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად. იყო ფრაქცია მაჟორიტარების „იმედის“ თავმჯდომარე, ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის წევრი.

ამჟამად მოღვაწეობს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უწყებათაშორის კომისიაში“, ეწევა შავი ზღვის საერთაშორისო, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და საზღვაო აკვატორიების შესწავლასთან დაკავშირებულ საქმიანობას.

ყოველივე აღნიშნულმა არსებითად განსაზღვრა პეტრე ბერაიას სამეცნიერო ინტერესების სფერო — საზღვაო ტრანსპორტი, მისი ეკონომიკური პრობლემები. ბატონი პეტრეს მოღვაწეობაში ნაყოფიერად არის გადაჯაჭვული სამეურნეო, პოლიტიკური და სამეცნიერო საქმიანობა. ის ათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, სადაც გარდამავალ პერიოდში საზღვაო ტრანსპორტის აქტუალური პრობლემებია განხილული.

მისი, როგორც პარლამენტარის საზღვაო საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის უშუალო ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით, ფაქტობრივად ჩამოყალიბდა საზღვაო დარგის საკანონმდებლო ბაზა. მიღებულ იქნა „საქართველოს საზღვაო კოდექსი“, საქართველოს კანონები „საზღვაო სივრცის შესახებ“, „მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ“, „საზღვაო სამაშველო სამსახურის შესახებ“. მისი, როგორც ქ. ფოთის მაჟორიტარი დეპუტატის უშუალო თაოსნობით საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება და ქ. ფოთს დაუკანონდა სანავსადგურო მოსაკრებელი, რომლითაც ქალაქის ბიუჯეტი, 1996 წლიდან მოყოლებული, დამატებით ღებულობდა ყოველწლიურად 2 მლნ ლარს, რაც ხმარდებოდა საზღვაო ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებას...

ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში პირველად ეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მაშინ, პეტრე ბერაიას ძალისხმევით, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მდგარ გემზე, პარლამენტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე განხორციელდა.

2002 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე — „საქართველოს საზღვაო ტრანსპორტი გარდამავალ პერიოდში“.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, პეტრე ბერაია საზღვაო ტრანსპორტისა და ფოთის ნავსადგურის ინფრასტრუქტურის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, საზღვაო დარგის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში აქტიური მონაწილეობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ბატონი პეტრე ბერაია არის ქ. ფოთის საპატიო მოქალაქე, ასევე აშშ-ის ჯორჯიას შტატის ქ. ლაგრანჟეს საპატიო მოქალაქე.

ვულოცავთ პეტრე ბერაიას 75 წლის იუბილეს, ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს, ხანგრძლივ მეცნიერულ მოღვაწეობას, ჯანმრთელობასა და ბედნიერ პირად ცხოვრებას მის საუკეთესო მეუღლესთან, შვილებთან, რძალთან და შვილიშვილებთან ერთად.

**მეგობართა ჯგუფი**



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სტუმრად ფოთში, პეტრე ბერაიასთან. 1987 წ.

# გადარჩენისთვის ბრძოლა სისხლში გვაქვს გამჯდარი!

## ბიძინას ბიძინასგან

***გადავწყვიტე, ჩემი წერილების ციკლის ქვესათაური (ერთი შეხედვით — მოძველებული) იგივე დამეტოვებინა. ამ ჯერზე (თუნდაც) ვიმოქმედებ პრინციპით — „მულო შენ გეუბნები და რძალო შენ გაიგონეო“. ვიმედოვნებ, პირდაპირი თუ ირიბი ადრესატები, ქვემოთ შემოთავაზებულ ანალიზში რაღაც ღირებულს იპოვიან.***

**ყველაფერს ბედი უნდაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი...**

**სამწუხარო ფაქტია, რომ ქართველებს უფროს ძმებში არ გვიმართლებს, გინდა იძულებით თავსმოხვეული იყოს და გინდა არჩეული.**

**ჯერ იყო და ორასი წელი ხან შოლტით, მახვილითა და ხიშტით, ხანაც ზარბაზნით, ტანკითა და მომწამვლელი ხსნარებით გვიტენიდნენ „უმადურ“ თავებში, რომ უფროსმა ძმამ ჩვენზე უკეთ იცოდა, როგორ უნდა ვყოფილიყავით ბედნიერები. ჩემი ამ ქვეყნად მოვლინების პირველი ოცდაათი წლის მანძილზე არ გვაკლდა „ნაკაზანიები“, რომ უფრო კარგად „შეგვემეცნებინა“ წითელი ფერის მრავალწახნაგოვანი სიკეთეები...**

**მერე იყო რეფერენდუმი, მერე — დამოუკიდებლობის გამოცხადება, თავისი სიხარულებითა და იმედებით, მაგრამ... მაგრამ მერე დაიწყო, რაც დაიწყო...**

ძველი, ოღონდ მოდერნიზებული (როგორც ირაკლი წერეთელი იტყოდა ხოლმე) უფროსი ძმა თავს მაინც რომ არ გვანებებდა, გადავწყვიტეთ, ახალი უფროსი ძმა თვითონ აგვერჩია, რომ მისი თანადგომით როგორმე დაგვეხსნა თავი იმ ყელში ამოსული ძველისგან და ამ გზით დაგვესრულებინა ორსაუკუნოვანი ღირსებისშემლახავი „ძედოვშჩინა“.

სიტყვა „ძედოვშჩინა“ შემთხვევით არ მიხსენებია: ჩვენი დიდი გამოცდილებიდან შეგვიძლია უტყუარად დავასკვნათ, რომ ყველა რუსი (პოლიტიკოსი იქნება ის, ხელოვანი, თუ რიგითი „ობივატელი“), თავისი „მსოფლმხედველობით“, ჩვეულებრივი, „დერჟავის“ ინტერესების სადარაჯოზე მდგარი სალდაფონია.

* * *

**მოდით, ახლა ასე გავაკეთოთ, გამოვტოვოთ „დამოუკიდებლობის“ განვლილი ათწლეულები, ის რომ, ახალი უფროსი ძმის წარმომადგენლები (ელჩები, ანუ ცეკას მეორე მდივნები, ენ-დიაისა და აი-ერ-აის მესვეურები, მაკკეინები, სოროსები, ბრაიზები და სხვა ათასი ჯურის დამრიგებლები), მათი „გემოვნებიდან“ გამომდინარე, როგორ „გვარჩევინებდნენ“ „ჩვენს“ მთავრობებს, როგორ ვერ ამჩნევდნენ სიტყვის თავისუფლების, პლურალიზმის, დემოკრატიის სრულ ვაკუუმს შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილის ეპოქაში; ამის შემდეგ, თავზე როგორ დაგვასვეს „მათი ნაძირალა“ და რუსეთის ხელისუფლების ნაძირალა („ნაშ მერზავეც“) სააკაშვილი და როგორ „ყურადღებით აკვირდებოდნენ“ ადამიანის ღირსების შელახვის უწყვეტ პროცესს ყოველდღიურ რეჟიმში; მათი უკიდურესი შეშფოთება-აღშფოთების ფონზე, როგორ აგვაგლიჯეს მშობლიური მიწა-წყლის 20% და ა.შ. და გადავიდეთ პირდაპირ დღევანდელ დღეზე:**

**ნაცმოძრაობის ბოლო დროის გეგმებისა და მოქმედებებისთვის სამართლებრივი შეფასების მიცემის უტყუარობისთვის, რომ იტყვიან, სულზე მოგვისწრო კაპიტოლიუმში პრეზიდენტ ტრამპის მხარდამჭერების შეჭრამ. ის, რაც ამერიკაში შიდა ტერორიზმად ფასდება, ბუნებრივია, შიდა ტერორიზმის კვალიფიკაციას უნდა იმსახურებდეს საქართველოშიც...**

თურმე სადა ხარ, ბიძინა დვალო, სად ბანაობ?! მერე რა, რომ კაპიტოლიუმთან შეკრების მოწოდებისთვის (და არა უმეტეს) ამისთანა „ფილარმონია კაცს“ კონგრესმა იმპიჩმენტი გამოუცხადა, მერე რა, რომ ჩვენმა „განსაკუთრებულმა მეგობარმა“ ადამ კინზინგერმა არაფრად ჩააგდო რესპუბლიკური პარტიის, მისი მშობლიური პარტიის უმრავლესობის პოზიცია და „სამართლიანობის ინტერესებისთვის“ იმპიჩმენტის მომხრეებს შეუერთდა... საქართველო (ჩვენ რომ სახელმწიფო გვგონია) ხომ მეორეხარისხოვანი წარმონაქმნია, დამატებაა, მხოლოდ და მხოლოდ ობიექტია დიდ საერთაშორისო თამაშებში — უბრალო ბანქოს ქაღალდი და... ყურის აწევამაც არ დააყოვნა.

...აქ ვიყავი გაჩერებული, ბატონმა გოგიმ, ჩემმა მეზობელმა რომ შემოიარა ჩაიზე (ასე იცის ხოლმე გაუფრთხილებლად თავზე დადგომა)... ნებართვა არ უთხოვია, ისე წაიკითხა მონიტორზე გადატანილი ჩემი მწარედ ნაფიქრი და ხელი ჩაიქნია უკმაყოფილების ნიშნად — ჭკუა მაინც ვერ ისწავლეო. რას ვამბობ არასწორს-მეთქი? ყველაფერს სწორს ამბობ, მაგრამ ნახევარი სიმართლეა ეგ ყველაფერიო...

ნახევარსაათიანი ორმხრივი უშედეგო „საარტილერიო ცეცხლის“ შემდეგ, ბატონმა გოგიმ (ჩემზე რვა წლით უფროსია) კატეგორიულად ბრძანა — ახლა დაჯექი და კარგად მომისმინე, სიტყვა არ გამაწყვეტინოო, ამის მერე ამ თემაზე საუბარს ვამთავრებო... საერთოდო...

* * *

**— შენი შეცდომა ისაა, რომ ანალოგიებით და პარალელებით ცდილობ გარკვეულ დასკვნებამდე მისვლას, ცდილობ, პროცესი ობიექტური ლოგიკის ჩარჩოში მოაქციო. კიდევ გიმეორებ - მწარედ ცდები. უფრო დიდი შეცდომა კი ისაა, რომ აპრიორი უშვებ, ვიღაც ბოროტია და ვიღაც კიდევ კეთილი და რომ კეთილებს, ანუ „მეგობრებს“ გულწრფელად სურთ შენი ქვეყანა იყოს ძლიერი და თავისუფალი და ნეგატივს ცალკეული პერსონალიების კერძო ინიციატივად, კერძო ინტერესად წარმოაჩენ ხოლმე და ა.შ.**

ობიექტურ ლოგიკას რომ გავყვეთ, საქართველოს ის გზა უნდა გაევლო (უნდა გაიაროს), რაც ლიტვა-ლატვია-ესტონეთმა გაიარა (ბატონი გოგი ლიეტუვას ისევ ლიტვას ეძახის, ლატვიას კი, რატომღაც, ლატვას). იქნებ, კიდევ ერთხელ დაფიქრებულიყავი იმაზე, ამ ოცდაათი წლის წინათ „მეგობრებმა“ რატომ გაგვმიჯნეს ხსენებული სამი რესპუბლიკისგან, ვინც ეროვნული მოძრაობის დროს ბევრ რამეს ჩვენგან სწავლობდა და დღესაც მადლობას გვიხდიან 9 აპრილისთვის, რადგან კვლავაც მიაჩნიათ, რომ საბჭოთა იმპერიის დასასრულის შეუქცევადი პროცესი ამ დღიდან დაიწყო?

ზესახელმწიფოებს შორის გავლენების გადანაწილება, კარგად მოგეხსენება, „შეთქმულების თეორიების“ კატეგორიას არ განეკუთვნება, უწყვეტი ისტორიული პროცესია — მარადიული რეალობა. ჰოდა,.. იმიტომ გაგვმიჯნეს, რომ ახალი (ისევ და ისევ) რეალობიდან გამომდინარე ახალ გადანაწილებაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — ახალი პოლიტიკური ეტაპის დიდ აუქციონზე, მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიზისში მყოფ რუსებს „პრიბალტები“ სრულად დაათმობინეს, ჩვენ კი...

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან და შესაბამისად, გეოსტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, პოლიტიკურად მყიფე ჩრდილოკავკასიური სახელმწიფო წარმონაქმნების პირობებში, რუსეთს ექნებოდა წონადი არგუმენტები სამხრეთის საზღვრებთან გარკვეული გავლენების შენარჩუნების მოსათხოვნად.

ყველაფრიდან ჩანს, რომ აშშ-მა გაითვალისწინა არსებული რთული სინამდვილე და შეთანხმებაც შედგა. და თუ ეს ყველაფერი ასეა (მაშინაც და მით უფრო ამ გადასახედიდან, სხვანაირად ვერც წარმომედგინა და ვერც წარმომიდგენია), შეთანხმების რეალიზაციის გეგმის შედგენა მხოლოდ ტექნიკის საქმე იქნებოდა.

(სურათის სისრულისთვის და ჩვენი მსჯელობის, ჩვენი არგუმენტების გასამყარებლად აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საქართველოს მსგავსი სცენარით განვითარდა მოვლენები უკრაინასა და მოლდოვაში, აგრეთვე აზერბაიჯანში.)

ბუნებრივია, ასეთი შეთანხმების არსებობას არც ერთი მხარე არასდროს არ აღიარებს, მაგრამ, დიდი თამაშის წესებიდან გამომდინარე, არც არავის უნდა მიეცეს საფუძველი, მის შესახებ რაიმე ეჭვის გაჩენისაც კი. ასეთ დროს მთავარი ამოცანა დროში გაწერილი ეფექტური სცენარის შემუშავება და დავალებების შემსრულებელთა შერჩევაა ხოლმე.

**დიდ მოთამაშეებს შორის საქართველოში ინტერესების გაყოფის პოლიტიკაში მონაწილეობა, ნებსით იქნებოდა ეს თუ უნებლიეთ, აუცილებლად (თავისთავად), არაეროვნული, უფრო მეტიც — ანტიეროვნული შინაარსის მატარებელი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ყველაზე რთულ ამოცანას ამ „ხარვეზის“ განეიტრალება და შემდეგ სათანადო შენიღბვა წარმოადგენდა. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ გეგმის ავტორებმა უმაღლესი ოსტატობა აჩვენეს, როგორც სტრატეგიის შემუშავების, ისე ტაქტიკური შინაარსის მანევრების გათვლის თვალსაზრისით.**

* * *

დიდი გეგმის პირველი რიგის ამოცანას, უდავოდ, ეროვნული პოლიტიკური ძალების პოლიტიკური პროცესიდან „ჩახსნა“ წარმოადგენდა. ასეთი ძირითადად ორი იყო: ზვიად გამსახურდია, თავისი მრავალრიცხოვანი, მაგრამ ცუდად ორგანიზებული მხარდამჭერებით და გიორგი ჭანტურია, თავისი კარგად ორგანიზებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიით. აქ დეტალებს აღარ ჩავუღრმავდები, მათი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად (ეს მასშტაბური სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის თემაა). ჩვენი დღევანდელი საუბარი ლოგიკურ დასკვნებამდე რომ მივიყვანოთ, იმის აღნიშვნაც სრულიად საკმარისია, რომ უაღრესად რთული ამოცანა იუველირული სიზუსტით იქნა სისრულეში მოყვანილი, საუკუნეების მანძილზე გამოცდილი უმარტივესი ხერხით — ლიდერების მოშორებით (ლიკვიდაციით).

**გათვლის და შესრულების მაღალ ხარისხზე ისიც მეტყველებს, რომ გეგმის ამ ნაწილში სხვა სავარაუდო გართულებებიც იქნა გადაზღვეული. რასაც ახლა ვიტყვი, ეს ჩემი პირადი აზრია და მზად ვარ, ყველა აუდიტორიის წინაშე დავიცვა იგი. კერძოდ, 90-იანი წლების პირველ ნახევარში ქართულ პოლიტიკაში საკმაოდ მძლავრად იყო წარმოდგენილი ძველი საბჭოთა ნომენკლატურა, ქვეყნის მართვის სადავეები სწორედ ამ ერთობას ეპყრა. მათი უმრავლესობა მედროვეების კატეგორიას განეკუთვნებოდა, მაგრამ იყვნენ ე.წ. „იდეურებიც“ (ვისაც თავისი შეხედულებები ქვეყნის სასიკეთო პოზიციად მიაჩნდა) და იყო პატრიოტულად განწყობილი ნაწილიც. „დიდი ამოცანის“ ინტერესიდან გამომდინარე პოლიტიკური ველის „ხელისშემშლელი ელემენტებისგან“ სრულად მოსუფთავების მიზნით, ხსენებული ნაწილის განეიტრალებაც უნდა მომხდარიყო. აქაც საქმე სავარაუდო ლიდერის (ლიდერობა, საზოგადოების მობილიზებისა და ორგანიზების უნარი, თანდაყოლილი თვისებაა და ამა თუ იმ ნიშნით გაერთიანებულ ჯგუფში ერთი-ორი თუ გამოირჩევა ხოლმე) ფიზიკური მოსპობით დასრულდა.**

**ეს სავარაუდო ლიდერი ჟიული შარტავა იყო.**

ბატონმა გოგიმ მეორე ფინჯანი ჩაი მოითხოვა, კმაყოფილებით მოსვა (შავი ჩაის მოყვარულია) და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო:

**ჩვენი საუბრის ამ ნაწილის დასკვნა ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ — პოლიტიკური ველი სრულად გაიწმინდა ეროვნუ-**











**ლი ინტერესებით მოქმედი სუბიექტებისგან და ასპარეზზე ახალი ძალების შემოსაყვანად აუცილებელი მეორე ეტაპი ჩაირთო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ – ზვიად გამსახურდია, გიორგი ჭანტურია და ჟიული შარტავა იმათთვის მოკლეს, ვისაც შევარდნაძის შემდგომ პერიოდზე უნდა აეღოთ მართვის პასუხისმგებლობა, ანუ ვისაც დიდ მოთამაშეებს შორის შეთანხმება უნდა აღესრულებინათ.**

აქ ბატონმა გოგიმ კობრას პაუზა დაიჭირა. მომეჩვენა, რომ საკმაოდ ხანგრძლივი. შემდეგ, ჩემი უნდობლობის გამომხატველი გრიმასისთვის თვალის მოუშორებლად განაგრძო: გატყობ, არ გინდა დამეთანხმო და ამ დროს საპირისპიროდ რაიმე წონადის თქმაც გიჭირს. ისევ მე დაგეხმარები – მეტი დამაჯერებლობისთვის, მოდი, დღეს არსებული რეალობა შევაფასოთ და პროცესებს უკუსვლით მივყვეთ, ანუ უკულოგიკის პრინციპი გამოვიყენოთ:

**ოცდაათწლიანი მოვლენათა განვითარების შედეგად მივიღეთ ის, რომ რუსეთი სრულად აკონტროლებს ჩვენი ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილს (20%) სამხედრო-სტრატეგიული ობიექტებისა და სატელიტი დე-ფაქტო ადგილობრივი ხელისუფლებების მეშვეობით. გარდა ამისა, მეტი გარანტიებისთვის, ხელთ უპყრიათ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტები. ხოლო „ახალმა მეგობრებმა“ მოიპოვეს უპირობო პოლიტიკური გავლენა დანარჩენ ოთხმოც პროცენტზე.**

ყველა გეგმას, რომელიც თავისი არსით არასწორია, ანუ არასამართლიანია მისი რომელიმე ნებაყოფლობითი თუ უნებლიე მონაწილის მიმართ, როგორც წესი, აქვს ხოლმე სერიოზული ხარვეზები. სწორედ ეს ხარვეზები მაძლევს ასეთი დამაჯერებლობით ასეთი შინაარსის მსჯელობის საშუალებასაც და უფლებასაც. „ხარვეზი“ ძალიან რბილი სიტყვაა იმის შესაფასებლად, რაც ახლა უნდა ვთქვა:

ყველა მასშტაბურ პოლიტიკურ გეგმას თავისი იდეოლოგიური ბაზისი სჭირდება. ახალი თავსმოხვეული გეგმის ფუნდამენტად ახალი ლიბერალიზმი შეირჩა – იდეოლოგია, რომელიც უარყოფს საუკუნეებგამოვლილ ღირებულებებს, მათ შორის, ე.წ. მარადიულ ღირებულებებს (ერი, სამშობლო, ღმერთი...) და საზოგადოებას „ახალ მიგნებებს“ სთავაზობს, ცდილობს **(წაიკითხეთ – აიძულებს),** როგორც მისი წინამორბედი ცრუ იდეოლოგიები – კომუნიზმი და ფაშიზმი, ისტორია ცარიელი ფურცლიდან დაიწყოს (საქართველოს მაგალითზე – „ახალი ქართველის“ შექმნის მცდელობები; ძველების, უპირველეს ყოვლისა მორალური ავტორიტეტების, „ჩარეცხვა“; სახელების გადარქმევა (კარგისთვის – ცუდი, ცუდისთვის – კარგი და ა.შ.); ე.წ. „ყველაფერი მოსულა“, ანუ დამკვიდრებული ქცევის წესების უარყოფა, ანუ რაც კანონით აკრძალული არაა, ყველაფერი დასაშვებიას პრინციპის ნორმად შემოტანა; სახარების ათი მცნების სრული უარყოფით, „ახალი ზნეობრივი კრიტერიუმების“ პროპაგანდა და სხვა მრავალი).

საქართველო, მოგეხსენება, დიდი და ძველი ისტორიის ქვეყანაა, დიდი (ღრმა) მახსოვრობითა და მყარი ტრადიციებით. გარდა ამისა, ჩვენი მცირერიცხოვნობის გამო, გადარჩენისთვის ბრძოლა სისხლში გვაქვს გამჯდარი. ახალი სინამდვილის შექმნის პოლიტარქიტექტორებმა სწორედ აქ დაუშვეს შეცდომა, ჰოდა...

**... მოდი, ამაზე ხვალ გავაგრძელოთ... ან ზეგ... ან... მოკლედ, როცა იქნება... თანაც, ჩაიც გაცივებულა...**

**ერთი კი ვუთხარი – ბატონო გოგი, რა პრობლემაა, უცებ შევაცხელებ-მეთქი, მაგრამ ზრდილობის გულისთვის ნათქვამად გამომივიდა, რადგან მისი ხასიათიდან გამომდინარე, ვიცოდი, დარჩენაზე ვერ დავიყოლიებდი.**

**მაგრამ, ძვირფასო მკითხველო, მერწმუნეთ, გაგრძელება აუცილებლად იქნება.**

**შეხვედრამდე...**

**ბიძინა დვალი**

**26.10.2021**



# მამუკა არეშიძე: გარეჯთან დაკავშირებით ვერც ერთ კითხვაზე ვერ მივიღე პასუხი!

**2007 წელს, როგორც კი გავიგე, რომ გაჭირდა მიმოსვლა, ჩავედი გარეჯში, ტენდენცია იმისა, რომ აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიმოსვლა გაიზარდა იქ, ჩემთვის 2007 წელს გახდა ნათელი,** – ამის შესახებ ექსპერტმა მამუკა არეშიძემ სასამართლოში დავით გარეჯის საქმეზე ჩვენების მიცემისას განაცხადა. არეშიძის თქმით, ამ ყველაფრის მიზეზის ძებნა დაიწყო მაშინდელ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში.

**„1999 წლიდან დაკავებული ვიყავი უსაფრთხოების საკითხებით. ეს ეხებოდა რეგიონული პოლიტიკის ზოგიერთ ნიუანსს, მათ შორის საზღვრებს. ამ თემით დავკავდი 1995 წელს, მას შემდეგ, რაც გავხდი პარლამენტის წევრი. როცა დავასრულე ვადა, უკვე არასამთავრობო სექტორში გადავინაცვლე.**

**შემიძლია, საზღვარზე ცალკე გესაუბროთ, გარეჯზე ცალკე. პირველი ურთიერთობა საზღვართან მქონდა აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ. ჩხეიძესთან გარკვეული საბჭო იყო, რომელიც საზღვრებზე საკითხებს სწავლობდა.**

**იმ მომენტიდან, თავიდან როგორც ჟურნალსიტი, მასთან ვურთიერთობდი ამ საკითხებზე. დაახლოებით 1988-89 წლებში, ირაკლი მახარაძესთან, ჩემი ახლო ადამიანია, რომელიც შემდეგ მეუფე გახდა, ურთიერთობების გამო, ხშირად ვიყავი გარეჯში. მე, როგორც ჟურნალისტიც საზოგადოებრივი არხიდან და როგორც მისი მეგობარიც, იქ ხშირად ჩავდიოდი. 80-იანების ბოლოს საერთოდ ყურადღება აღარ ექცეოდა ამ რეგიონს, მაგრამ აზერბაიჯანის მხრიდან ექცეოდა ყურადღება. მიმოსვლა თავისუფალი იყო, ხელს არ გვიშლიდნენ. შემდეგში, როცა გავხდი პარლამენტის წევრი, რამდენჯერმე მომიხდა იქ ყოფნა პირად მიზნებზე და არავითარი შემხვედრი გარემოება არავისგან არ არსებობდა. ძალიან კარგად მახსოვს, უამრავი ახალგაზრდა მონაწილეობდა იქაური ძეგლების კეთილმოწყობაში. მოვიდა ჩემთან ინფორმაცია, რომ გაჭირდა ამ ძეგლებთან მისვლა. ეს იყო 2007 წელი. დიდი ხნის პაუზის შემდეგ, ისევ ჩავედი გარეჯში, როგორც კი გავიგე, რომ გაჭირდა მიმოსვლა, მაშინვე წავედი. მახსოვს, რომ იქ მესაზღვრეებიც მოვიდნენ, განსაკუთრებით არავინ შეავიწროვეს. ტენდენცია იმის, რომ აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიმოსვლა გაიზარდა იქ, ჩემთვის 2007 წელს გახდა ნათელი. მიზეზი არ ვიცოდი და მიზეზის ძებნა დავიწყე მაშინდელ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში“...**

* * *

**„ვხვდებოდი, რომ გარკვეული პოლიტიკური ინიციატივები იყო აზერბაიჯანის მხრიდან, არსებულ ხელისუფლებასთან კითხვები მქონდა და ვერც ერთზე პასუხი ვერ მივიღე. აი, დაახლოებით ასეთი სურათი იყო. მე მელაშვილის გარდა, კომისიის წევრები სხვა არავინ ვიცოდი. ადამიანები, ვისთანაც მე მქონდა შეხება, კავშირში იყვნენ კომისიის წევრებთან. აქედან გამომდინარე, მე მათთან შეხება მქონდა არაპირდაპირი, ირიბი. მე მიმქონდა ინფორმაცია ასეთ ადამიანებთან. მოდიოდა გაუგებარი ინფორმაცია, ადამიანები ვერ ხვდებოდნენ, ვითარება რატომ იცვლებოდა გარეჯის გარშემო ასეთი ფორმით. ამ განწყობის ინფორმაცია მოდიოდა ჩემამდე. მაგალითად, ცნობილი იყო ჩემთვის ზაზა კანდელაკი, ადამიანი, ვისაც ვიცნობდი, კომისიის თავმჯდომარე, წევრები. კომისიის თავმჯდომარეები სხვა ფუნქციას ასრულებდნენ მანამდე და როცა მოდიოდნენ, სიტუაციის გარკვევით იყვნენ დაკავებული და კომისიის სხვა წევრების აზრს ეყრდნობოდნენ“.**

* * *

**მე და ჩემი ჯგუფი მაშინ რუსეთ-საქართველოს საზღვრებზე ვმუშაობდით. კერძოდ, მამისონის მონაკვეთზე. მაშინ შევხვდით მის კაბინეტში, ცოტა უხერხულია ჩემგან ამის თქმა, მაგრამ მელაშვილმა გვაგრძნობინა, რომ ჩვენ არ ვართ კომპეტენტურები და საქმე ის არის, რომ ეს დიდი პოლიტიკის თემა იყო. ჩვენ იქიდან წამოვედით ყოველგვარი ინფორმაციის გარეშე. ჩემთვის გიორგი ოთხმეზურის, ჩემი მეგობრის, ისტორიკოსის აზრი სულ იყო მნიშვნელოვანი.**

**ასევე, მქონდა შეხება ზოგიერთ სხვა ადამიანთან, რომლებიც ყოფილი კომისიის წევრები იყვნენ, გვარებს ვერ ვიტყვი, თავს შევიკავებ. მრჩებოდა შთაბეჭდილება, კომისია, რომელიც ამდენი წელი მუშაობდა, გარკვეული ბარიერის წინაშე აღმოჩნდა და ეს ბარიერი 2006 წლის შუალედური დასკვნა იყო. ამის მერე მოხდა რაღაცების გააქტიურება. ამასობაში მესაზღვრეები გაჩნდნენ. ამ ინფორმაციებმა, ანალიზმა მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ იქმნდებოდა არაჯანსაღი ვითარება, რომ რაღაცა პოლიტიკური გადაწყვეტილება ან მიღებულია ან უნდა მიიღონ. 2016 წლიდან მეც მოვინდომე ამ საქმეში ჩართვა, რასაც ჰქვია რუკების პოვნა. ჩემმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ მითხრა, როგორი ტიპის რუკა უნდა ყოფილიყო, გადავამოწმე და გავარკვიე, რომელი რუკა უნდა ყოფილიყო. 1938 წელს გამოშვებული რუკა, რომელსაც აქვს წითელი, ბეჟი, 1:200 000. ეს იყო საბჭოთა პერიოდში გამოშვებული სპეციალიზირებული რუკა.**

**მე მქონდა საშუალება, ამ რუკების ძებნა დამეწყო უკრაინის და ყირგიზეთის არქივებში, მაგრამ ვერ მივაგენი. მე მქონდა ურთიერთობა ადამიანებთან, ვინც მოღვაწეობდნენ რუსეთში, მათ შორის ერთ-ერთია ადამიანი, ვინც რუსეთის ჯარის სტრუქტურაში იყო. მასთან მქონდა საუბარი. აქ ლაპარაკი იმაზე კი არ იყო, რუკა მოეცა, მთავარი იყო, მიეგნო, ვერ მიაგნო. ჩვენი რესურსით ვერ ვიპოვეთ, თუმცა მცდელობა იყო. სხვა დოკუმენტები ნაპოვნი იყო, მაგრამ რუკა – ვერა“...**

**ძვირფასო მკითხველო,** კიდევ ერთხელ შეგახსენებთ: დავით გარეჯის საქმეზე პროკურატურამ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ივერი მელაშვილი და შს სამინისტროს თანამშრომელი ნატალია ილიჩოვა 2020 წლის 7 ოქტომბერს დააკავა. მათ ბრალად ედებათ საქართველოს ტერიტორიების წინააღმდეგ მიმართული ქმედება. თბილისის საქალაქო სასამართლომ მათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 8 ოქტომბერს შეუფარდა.

ბრალდებულები, ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა მიმდინარე წლის 28 იანვარს გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდნენ. ამასთან, პროკურატურამ 21 იანვარს საქმეზე ფარული ჩანაწერი გამოაქვეყნა. როგორც პროკურატურაში აცხადებენ, ჩანაწერის მიხედვით, ივერი მელაშვილი და ნატალია ილიჩოვა საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესში ზემდგომი თანამდებობის პირების დავალებით მოქმედებდნენ.

**ოჰოჰოჰო!**

# გვიმღერე რისხვა გუბაზისა...

**კაცობრიობას ახსოვს დიდი მრისხანებანი, რასაც აყვავებული ქალაქები ან სულაც მთელი ქვეყნები შეეწირა.**

მირმიდონელთა ბელადის, გმირი აქილევსის მრისხანებას საშინელი შედეგი მოჰყვა: მეგობრის დაღუპვით შეძრწუნებულმა და გააფთრებულმა დიდმა მეომარმა ფიცი დადო, რომ სასტიკი შურისძიებით შემუსრავდა პატროკლეს მკვლელს ჰექტორს და საერთოდ ტროელებს, თუმცა, ღმერთთაგან უწყოდა,რომ ამას თვით მისი სიცოცხლე შეეწირებოდა. რას იზამ, აქილევსი ამიტომაც იყო აქილევსი!

მსოფლიოს უპირველესი პოემა, დიდებული „ილიადა“ სწორედ აქილევსის რისხვის აღწერით იწყება:

**გვიმღერე, ღმერთქალო, რისხვა აქილევსის, პელევსის ძისა,**

**მრავალი ათასი ჭმუნვა რომ არგუნა აქაველთ წილად...**

მას შემდეგ თითქმის 34 საუკუნე (3400 წელი!) გავიდა და ქვეყნიერება კვლავ დადგა კატასტროფის წინაშე. ამჯერად გუბაზ სანიკიძემ გამოიღო ხელი: თუ სააკაშვილი 30 ოქტომბრამდე არ გათავისუფლდება, ხელისუფლება იხილავს ჩემს მრისხანებასო! ბრრრ! ვაშინერს!



წარმოიდგინეთ აპოკალიფსური სურათი: კლდის ქიმზე შემდგარი მაღლა აწეული კოტიტა თითით ცენტნერნახევარი კაცი, თავზე რომ ყვავების გუნდი შემოგრაგვნია, ნესტოებიდან ცეცხლის ბოლქვებს ისვრის და ნამძინარევ უპეებში ზანტად დააგორებს გასაციებლად წყალში ჩაყრილ საზამთროებივით თვალებს... მოკლედ, მაზუთის ცისტერნიდან ბოლი ამოდის. საშინელი სანახაობაა!

მაგრამ ეს კოშმარული სურათი, მისი შემოქმედის დიდი სურვილისა და ცდის მიუხედავად, სულაც არ იწვევს საყოველთაო ძრწოლას: არც გუბაზია აქილევსი (აქილევსის ქუსლიც კი) და არც სააკაშვილი-განგმირული პატროკლე. ესეც არ იყოს, ამ გუდაფშუტით სავსე გოდორმა, ვითომ მრისხანებით გაჭაჭულმა თუ ხინკლიან სინთან მოკალათებულმა, ვის რა ფეხები უნდა მოსჭამოს?

მანამდე კი უბრალოდ ვიღადაოთ:

**გვიმღერე, ღმერთქალო, რისხვა გუბაზისა, ლევანის ძისა,**

**მრავალი ათასი ჭმუნვა რომ განუმზადა „ოცნებას“ წილად...**

**ალეკო ასლანიშვილი**

# იქმნებიან და იშლებიან...




**ალბათ, არ იქნება გადაჭარბებული იმის თქმა, რომ რუსეთს არასოდეს არ ჰქონია კეთილი და დალაგებული ურთიერთობა დასავლეთთან, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მეფენი დასავლეთის მონარქებს ენათესავებოდნენ, და მეორე მსოფლიო ომის დროსაც, საბჭოთა კავშირი, ამერიკა და ინგლისი მოკავშირეები იყვნენ. ნათესავური სიახლოვეც და ტაქტიკური ერთობაც, როგორც წესი, კრახით მთავრდებოდა ხოლმე. რუსეთის იმპერიასაც გამოეთხარა ძირი და საბჭოეთიც დაინგრა, მაგრამ რუსულ-დასავლური ურთიერთობა ვერა და ვერ გაუმჯობესდა. უფრო მეტიც, კიდევ უფრო გართულდა და გამწვავდა! ვინ იცის, რუსულ-ქართული შეუმდგარი ურთიერთობის ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა. მიუხედავად ყველაფრისა, არსებობს ჩვეულებრივი ადამიანური მოლოდინი, რომ ერთ მშვენიერ დღეს, დასავლურ-რუსული კავშირებიც, შეიძლება, გამაგრდეს და სასურველი ნაყოფი გამოიღოს, მაგრამ ჯერჯერობით ტრადიციული დაძაბულობა მათ შორის არ მთავრდება.**

სულ ბოლო ამბავი ისაა, რომ პირველი ნოემბრიდან, რუსეთი აჩერებს თავის დიპლომატიურ მისიას ნატოში. ასევე, რუსეთის მოთხოვნით, დაიხურება ნატოს სამხედრო წარმომადგენლობა და ნატოს საინფორმაციო გაცვლითი მისია მოსკოვში. რუსეთმა ეს რადიკალური გადაწყვეტილება ალიანსის მიერ რუსეთის მისიიდან რვა დიპლომატის გაძევების საპასუხოდ მიიღო. ნატომ რუსეთს წარმომადგენლობის განახევრება მას შემდეგ მოსთხოვა, როცა აღმოაჩინა, რომ მისიის წევრები რუსეთის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლები იყვნენ. ამ თემაზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მიმისტრმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, და ამერიკა და ნატო კრიზისის წარმოქმნაში დაადანაშაულა.

ნატო არ არის დაგულისყურებული თანაბარი დიალოგით და ერთობლივი საქმიანობით, და თუ ეს ასეა, მაშინ, ჩვენ ვერ ვხედავთ აუცილებლობას, განვაგრძოთ იმის მოჩვენება, რომ ცვლილებები ახლო მომავალში შესაძლებელია, აღნიშნა სერგეი ლავროვმა. ჟურნალისტის შეკითხვაზე თუ რა გზებს გამოიყენებს მომავალში რუსეთი ნატოსთან კომუნიკაციისთვის, მან ხისტად უპასუხა, თუკი ალიანსს შეკითხვები აქვს, შეუძლია, ბრიუსელში რუსეთის ელჩს მიმართოსო.

ბუნებრივია, ნატო რუსეთის მისიის შეჩერებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ რუსეთის ეს გადაწყვეტილება დასანანია, თუმცა, რა გაეწყობა! გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრიც გამოეხმაურა რუსეთის ამ მოულოდნელ ნაბიჯს და ასე თქვა, რუსეთს, ალბათ, აღარ აგულისყურებს დასავლეთთან საუბარი, რაც ძალიან ცუდია ამ ისედაც დაძაბულ ვითარებაშიო. რუსეთის დიპლომატიური მისია ნატოში 1998 წელს გაიხსნა. ოთხი წლის შემდეგ შეიქმნა სამუშაო ორგანო „რუსეთ-ნატოს საბჭოს" სახელწოდებით, რომლის მეშვეობითაც გაფორმდა რამდენიმე ხელშეკრულება სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობასა და ერთობლივი წვრთნების ჩატარებაზე. ურთიერთობა ალიანსსა და რუსეთს შორის, საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის გამო დაიძაბა. ნატომ მაშინ დროებით შეაჩერა საბჭოს მუშაობა, თუმცა, მოგვიანებით, კვლავ განაახლა. 2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, ურთიერთობა ნატოსთან კიდევ უფრო დაიძაბა. ალიანსმა შეზღუდა რუსეთთან ყოველგვარი სამოქალაქო და სამხედრო თანამშრომლობა. შედეგად, ცივი ომის დასრულების შემდეგ პირველად, რუსეთი არ მიიწვიეს ნატოს სამიტზე.

რუსეთის მუდმივი მისიის თანამშრომელთა რიცხვი ალიანსში კი, მკვეთრად შემცირდა. დასავლეთის ანალიტიკოსების აზრით, რუსეთისა და ნატოს ურთიერთობა ადრე თუ გვიან ისედაც გაფუჭდებოდა. რუსეთი ისეთი სისწრაფით შორდება დასავლეთს, რომ მისიების დახურვა არავის არ გაკვირვებია. ნატოს რუსეთისა და ჩინეთის დღევანდელი შეხმატკბილებული ურთიერთობაც აფიქრებს. ალიანსის გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის თქმით, ჩინეთი ევროპის უსაფრთხოებას თავისი კიბერ-შესაძლებლობებით, ახალი ტექნოლოგიებითა და შორი რადიუსის რაკეტებით ემუქრება. მისი აზრით, ყველაფერ ამაში, ჩინეთს რუსეთი უწევს დახმარებას. ნატომ არ უნდა განიხილოს ჩინეთიდან მომავალი საფრთხე მისი უპირველესი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგის, რუსეთისგან განცალკევებულად, განუცხადა სტოლტენბერგმა ჟურნალისტებს. დასავლეთის ექსპერტების რწმენით, რუსეთის მისიის მუშაობის შეწყვეტა საგანგაშო სიგნალია.

აშკარაა, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებისთვის განკუთვნილი ინსტრუმენტები მწყობრიდან გამოდის და მათი შესაბამისი შემცვლელი ინსტრუმენტები არ არსებობს. თუ რუსეთ-ნატოს საბჭოს შექმნა ცივი ომის წარსულისთვის ჩაბარების ნიშანი იყო, მაშინ, მისიების დახურვა აჩვენებს, რომ დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფრონტაცია ახალ ეტაპზე გადავიდა. მომავალში, რუსეთმა და ნატომ აუცილებლად უნდა დაიწყონ კომუნიკაციის ახალი ფორმატის ძებნა, რითაც წინააღმდეგობების რისკები შემცირდება. რისკები კი ბევრია: ავღანეთი, სირია, ჩინეთი და, რა თქმა უნდა, უკრაინა და საქართველო!

* * *

**იქმნებიან და იშლებიან იმპერიები, პოლიტიკური გაერთიანებები, კავშირები, ალიანსები. ევროკავშირი ჯერ კიდევ ფეხზე დგას და მთლიანია, თუმცა, ხან ვისთან ეძაბება ურთიერთობა და ხან ვისთან. მაგალითისთვის ის გახმაურებული ბრექსიტიც კმარა – British Exit ანუ ბრიტანეთის სცენიდან გასვლა. ახლა კი, პოლონეთთან გაუმწვავდა ისედაც დაძაბული ურთიერთობა. მიზეზი პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შვიდი ოქტომბრის დადგენილება გახდა, რომლის მიხედვით, პოლონეთის კანონები და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები უფრო მაღლა დგას, ვიდრე ევროკავშირის. ამ საქმის განხილვა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის სარჩელის მიხედვით დაიწყო. მორავეცკიმ საკონსტიტუციო სასამართლოში პოლონეთის კანონებისა და ევროკავშირის სამართლებრივი შეთანხმება 2021 წლის მარტში მოითხოვა მას შემდეგ, რაც ევროკავშირის მართლმსაჯულებამ დაადგინა, რომ 2018 წელს, პოლონეთის მიერ მოსამართლეთა დანიშვნის ახალი სისტემა ევროკავშირის კანონებს არღვევდა.**

პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბრიუსელმა მკაცრად დაგმო. ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი ძალზე შეშფოთებულია, და როგორც ევროკავშირის აღმასრულებელი პირი, ყველაფერს გააკეთებს ბრიუსელის კანონმდებლობის უპირატესობის უზრუნველსაყოფად. ევროკომისიამ ამის შესახებ ოფიციალური განცხადებაც გაავრცელა: ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილება ყველა წევრი-ქვეყნის მთავრობისთვის სავალდებულოა – ნათქვამია კომისიის განცხადებაში. ევროკავშირის ქვეყნების ლიდერთა უმრავლესობამაც დაგმო პოლონეთის სასამართლოს დადგენილება. ბევრმა მოითხოვა პოლონეთის მიმართ მკაცრი ზომების გატარება. ევროპის პრესა პლექსიტზე – Polish Exit, ანუ პოლონეთის ევროკავშირიდან გასვლის ვარაუდზე ალაპარაკდა. ანუ, რა გამოდის? წესრიგი თავისუფლებას ეჯახება? არ ვიცი. შეიძლება! პოლონეთის ოპოზიციამ არაერთ ქალაქში მრავალათასიანი დემონსტრაციები გამართა. ვარშავაში გამართულ აქციაზე ევროსაბჭოს ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტუსკმა და პოლონეთის ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის „სამოქალაქო პლატფორმის" ლიდერმა მოსახლეობას ევროპული პოლონეთის დაცვისკენ მოუწოდა. პრემიერ-მინისტრმა მორავეცკიმ კი, ოპოზიცია პოპულიზმში დაადანაშაულა და ხაზი გაუსვა, რომ პოლონეთის ხელმძღვანელობა სულაც არ აპირებს ევროკავშირიდან გასვლას.




ჩვენ, უბრალოდ, ისეთ ევროპულ კავშირში გვსურს ყოფნა, როგორიც ჩვენს ეროვნულ და პოლიტიკურ წარმოდგენებს შეესაბამება, და როგორსაც ჩვენ თვითონ შევქმნითო. დაახლოებით ამ შინაარსის განცხადება გააკეთა და დასძინა, რომ ევროპის ნამდვილი ხიბლი სწორედ მრავალფეროვნებაშია, რომელიც არაფრით არ მოგვაგონებს ტოტალიტარული ქვეყნების ისეთ გაერთიანებას, სადაც ყველა ერთმანეთს ჰგავსო. დაპირისპირება პოლონეთსა და ევროკავშირს შორის ჯერ კიდევ 2015 წელს დაიწყო, როცა პოლონეთში „კანონისა და სამართლიანობის" კონსერვატიული პარტია მოვიდა ხელისუფლებაში. მათ ღირებულებრივი განსხვავებები აქვთ. ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში საკმაოდ ლიბერალური განწყობის ხალხი ცხოვრობს. პოლონეთი, ან თუნდაც უნგრეთი, უფრო ქრისტიანულ-კონსერვატიულ შეხედულებებს იზიარებს.

ეს ქვეყნები არ აღიარებენ ლიბერალურ ფასეულობებს და ეწინააღმდეგებიან ბრიუსელის დიქტატს. უთანხმოებების ნუსხა კი, ძალიან გრძელია. ბრიუსელს არ მოსწონს პოლონეთში ჩატარებული სასამართლო რეფორმა. ის პოლონეთისგან მოსამართლეთა დისციპლინური პალატის გაუქმებას მოითხოვს. ევროკავშირი ასევე ჩეხეთთან საზღვარზე ტუროვის ქვანახშირის მაღაროს დახურვას მოითხოვს, რადგან მაღარო ეკოლოგიურ მდგომარეობას აუარესებს. პოლონეთის ეკონომიკისთვის კი, ეს მაღარო ძალიან ბევრს ნიშნავს. ბრიუსელი უკვე იმუქრება სანქციებით: თუ პოლონეთის მთავრობა არ დახურავს მაღაროს, მაშინ, მას დაეკისრება ყოველდღიური ჯარიმა 550 ათასი ევროს ოდენობით. ასევე, დიდი უთანხმოება არსებობს ლგბტ-სა და აბორტების თემაზე. პოლონეთი, ისევე, როგორც უნგრეთი, ლგბტ-სა და აბორტის საწინააღმდეგო კანონების გამკაცრების მომხრეა. უთანხმოება არსებობს მიგრანტების საკითხშიც.

პოლონეთი მიგრაციული კანონების გამკაცრებას უჭერს მხარს. ამ ყველაფერის მიუხედავად, ევროპელი პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირი მკაცრად ვერ დასჯის პოლონეთს, რადგან ევროკავშირის ლიბერალურ-ბიუროკრატული ელიტა ევროპის ბევრ ქვეყანაში ვერ სარგებლობს დიდი მოწონებით, და სანქციების შემოღება კიდევ უფრო გააღრმავებს მის არაპოპულარობას. რაც მთავარია, ბრიუსელს ეშინია, რომ პოლონეთის დასჯით ევროკავშირში შეიძლება განხეთქილება მოხდეს, რადგან პოლონეთს ბრიუსელთან ბრძოლაში მხარს აუცილებლად დაუჭერს აღმოსავლეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა. ბრიუსელის შიშს იზიარებს გერმანიაც. პოლონეთი და უნგრეთი კი, არ აპირებენ, გადაუხვიონ კონსერვატიული ევროპის გზას. ბრიუსელისა და ვარშავის ერთმანეთთან დაპირისპირება ხელს არ აძლევს ევროკავშირის მთავარ პარტნიორ ამერიკასაც, რადგან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, პოლონეთის ლიდერობით, ევროპაში ანტი-რუსულ ფორპოსტს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, ბაიდენის ადმინისტრაციას თვალის დახუჭვა მოუწევს ანტი-ლგბტ კანონებზე იმისთვის, რომ არ დაკარგოს ასეთი საჭირო მოკავშირეები.

* * *

**ამ ჩვენს გლობალიზებულ სამყაროშიც კი, თანამედროვე იაპონიის პოლიტიკური მმართველობის სტილი გვარიანად განსხვავდება დასავლურისგან. მთავარი განსხვავება კი ისაა, რომ იაპონურ პოლიტიკურ სივრცეში, ხშირად, ერთიდაიგივე პარტია დომინირებს ხოლმე, თანაც, საკმაოდ ხანგრძლივად. მაგალითად, დღეს ქვეყანას 1955 წელს დაარსებული ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია მართავს, რომელიც იმ დროიდან მოყოლებული სულ სათავეშია ორიოდე ხანმოკლე ჩავარდნის გარდა. პარტია სტაბილურად მოქმედებს, სამაგიეროდ, ხშირად იცვლებიან მისი ლიდერები. საინტერესოა, რომ იაპონელები თავიანთი პოლიტიკოსების ქცევას სამურაის ქცევას ადარებენ. მაგალითად, თუ პოლიტიკოსის ავტორიტეტი რაღაცნაირად შეიბღალება, ის ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ტოვებს პოლიტიკურ სარბიელს. სწორედ ასეთი ეროვნული მოდელის მიხედვით განვითარდა პოლიტიკოსთა მიმოცვლის პროცესი დღევანდელ იაპონიაში.**

გასულ სექტემბრამდე, ერთი წლის განმავლობაში, იაპონიის პრემიერ-მინისტრი იოშიჰიდე სუგა იყო. ამ ახალბედა პრემიერ-მინისტრს სულ კრიტიკის ქარცეცხლში უწევდა ყოფნა. განსაკუთრებით, მოსახლეობა ერჩოდა მას. მისმა მთავრობამ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლას ვერ გაართვა თავი და იმიტომ. დიახ, სწორედ კორონავირუსის პანდემიასთან გამკლავების სისუსტემ შეამცირა მმართველი პარტიისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის პოპულარობა, და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სექტემბერში პრემიერი იოშიჰიდე სუგა გადამდგარიყო.

იაპონიის ლიბერალურმა დემოკრატიულმა პარტიამ შიდა პარტიული არჩევნები დანიშნა, რომლის შედეგი სულ არ გაკვირვებია იაპონელ ხალხს, რადგან პარტიის ლიდერის პოსტზე აირჩიეს ყველაზე დაფასებული და ავტორიტეტული პოლიტიკოსი ფუმიო კიშიდა. პარლამენტმა უყოყმანოდ დაამტკიცა მისი კანდიდატურა და კიშიდა, ახლა უკვე იაპონიის 64-ე პრემიერ-მინისტრი, თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ვინ არის ფუმიო კიშიდა? ის ცნობილია თავისი ფრთხილი და ზომიერი პოლიტიკით. ინტერვიუებშიც კი, უაღრესად თავშეკავებულად საუბრობს, ფრთხილად არჩევს სიტყვებს და ასჯერ ზომავს და წონის სათქმელს. ყურადღების მიმქცევი ჟესტიკულაციისა და ნაჩქარევი, ხმამაღალი განცხადებების ნაცვლად, ნელ-ნელა და მოთმინებით აღწევს ხოლმე საწადელს. ამით იგი თითქოს გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს მოგვაგონებს.



კიშიდას სამუშაო მაგიდაზე სამი ფოტო უდევს: პაპის, მამისა და 90-იან წლებში იაპონიის პრემიერ-მინისტრის კიიჩი მიაძაუასი. ეს იმიტომ, რომ კიშიდა წინაპრების კვალს გაჰყვა პოლიტიკაში, ხოლო, მიაძაუას თავის მასწავლებლად მიიჩნევს. კიშიდას ხშირად უყვარს მიაძაუას სიტყვების გამეორება: ხელისუფლებაში მყოფთ არ უნდა ავიწყდებოდეთ მოკრძალება. არ მომერიდება და პირდაპირ ვიტყვი, რომ არა მხოლოდ იაპონიის ახალი პრემიერისთვისაა მისაბაძი ეს დიდებული მოწოდება. ყველა დიდ და გონიერ კაცს ამშვენებს კრძალვა და თავმდაბლობა! ფუმიო კიშიდა ისედაც ამ დოგმატის მიმდევარია. ის უაღრესად მოკრძალებულად ცხოვრობს. რესტორანში თუ წავა, მაგალითად, მხოლოდ პატარა და ნაკლებად შესამჩნევ მაგიდას მიუჯდება ხოლმე, და სახლშიც არ თაკილობს საოჯახო საქმის კეთებას. ჰყავს მეუღლე და სამი ვაჟი. თავისი პოლიტიკური ცხოვრების მანძილზე, არც ერთ სკანდალში არ გახვეულა. როგორც იაპონელები ამბობენ, იგი ძველი სამურაების სულისკვეთებითა და საქციელით ცხოვრობს.

**ნუგზარ ბ. რუხაძე,**
**ვანიკო კოტეტიშვილი,**
**POSTV-ის საერთაშორისო პანორამა**

# პეკინის მხრიდან საფრთხე ყოველდღიურად იზრდება



**„ეს არის კუნძული, სადაც 23 მილიონი ადამიანი ყოველდღიურად ცდილობს დაიცვას საკუთარი თავი და ჩვენი დემოკრატია, რათა ისეთი თავისუფლება გვქონდეს, როგორსაც ვიმსახურებთ. თუ ჩვენ მარცხს განვიცდით, ეს ნიშნავს, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც ამ ღირებულებების სჯერათ, ეჭვი შეეპარებათ, არის თუ არა ეს ის ღირებულებები, რისთვისაც უნდა იბრძოლონ“,** — აღნიშნა ტაივანის პრეზიდენტმა ცაი ინ-ვენმა ტელეკომპანია CNN-თან ინტერვიუში.

მან ასევე მოუწოდა რეგიონალურ დემოკრატიულ პარტნიორებს, მათ შორის იაპონიას, სამხრეთ კორეასა და ავსტრალიას, დაეხმარონ ტაივანს.

**„როდესაც ავტორიტარული რეჟიმები ექსპანსიონისტურ ზრახვებს ავლენენ, დემოკრატიული ქვეყნები უნდა გაერთიანდნენ. ტაივანი ფრონტის ხაზზე დგას“,** — აღნიშნა მან.

11 ოქტომბერს, ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს ტაივანის საქმეთა სამსახურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, მა სიაოგუანმა განაცხადა, რომ ტაივანის მმართველი პარტიის დამოუკიდებლობისკენ მისწრაფება რეგიონში დაძაბულობისა და არასტაბილურობის წყაროა.

ტაივანის პრეზიდენტმა, კი განაცხადა, რომ ტაივანი თავდაცვის გაძლიერებას განაგრძობს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ვერავინ აიძულოს მიიღოს გზა, რომელიც ჩინეთმა დაადგინა და რომელიც თავისუფლებასა და დემოკრატიას არ მოიცავს.

ოფიციალური პეკინი დიდი ხანია ცდილობს ტაივანი „ერთი ჩინეთის“ პოლიტიკის ნაწილად აქციოს, ტაივანი კი აცხადებს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ჯო ბაიდენის ადმინისტრაციამ პეკინს მოუწოდა, ტაივანზე სამხედრო, დიპლომატიური და ეკონომიკური ზეწოლა შეწყვიტოს.

* * *

**ტაივანს გაეროში გაწევრიანების უფლება არა აქვს,** — განაცხადა ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს ტაივანის საქმეთა სამსახურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, მა სიაოგუანმა.

**„გაერო საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც სუვერენული სახელმწიფოებისგან შედგება. ტაივანი ჩინეთის ნაწილია“,** — აღნიშნა მა სიაოგუანმა. 26 ოქტომბერს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს მოუწოდა, მხარი დაუჭირონ ტაივანის გაეროს სისტემაში მონაწილეობას.

**„ტაივანი დემოკრატიული წარმატების ისტორია გახდა. ტაივანის მოდელი მხარს უჭერს გამჭვირვალობას, ადამიანის უფლებების პატივისცემასა და კანონის უზენაესობას — ღირებულებებს, რომელიც გაეროს ღირებულებებს შეესაბამება. ჩვენ გაეროს იმ მრავალ წევრ ქვეყანას შორის ვართ, რომლებიც ტაივანს განიხილავენ, როგორც ღირებულ პარტნიორსა და სანდო მეგობარს“,** — ნათქვამია ენტონი ბლინკენის განცხადებაში. 1971 წელს გაერომ ჩინეთის ერთადერთ წარმომადგენლად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აღიარა და ტაივანი ორგანიზაციიდან გარიცხა.



# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მაია ძინძიბაძის, ლერი ლობჯანიძის და თენგიზ ძინძიბაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: მაია ძინძიბაძე (პ/ნ 35001006081), რუსთავი, მ. კოსტავას გამზ., კორპ. 5, ბინა 13

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი 5, ბინა 12 (საკადასტრო კოდი: 02.05.07.089.01.012).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 66878.70 ლარი;

აუქციონის დაწყების თარიღი: 2021 წლის 28 ოქტომბერი, 14:00 საათი.

აუქციონის დასრულების თარიღი: 2021 წლის 11 ნოემბერი, 14:30 საათი.

აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP74838121;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 748381

2. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ლერი ლობჯანიძე (პ/ნ 35001032713), რუსთავი, პავლე თოდრიას ქ. №7, ბინა 95

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

რუსთავი, პავლე თოდრიას ქ. №7, ბინა 95 (საკადასტრო კოდი: 02.02.06.065.01.095).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 80254.44 ლარი;

აუქციონის დაწყების თარიღი: 2021 წლის 28 ოქტომბერი, 14:00 საათი.

აუქციონის დასრულების თარიღი: 2021 წლის 11 ნოემბერი, 14:00 საათი.

აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP74837021;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 748370

3. უძრავი ნივთის მესაკუთრე: თენგიზ ძინძიბაძე (პ/ნ 35001006338), რუსთავი, მ. კოსტავას გამზ., კორპ. 5, ბინა 13

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

რუსთავი, მ. კოსტავას გამზირი 5, სართული 1, ბინა 13 (საკადასტრო კოდი: 02.05.07.089.01.013).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 66878.70 ლარი;

აუქციონის დაწყების თარიღი: 2021 წლის 28 ოქტომბერი, 14:00 საათი.

აუქციონის დასრულების თარიღი: 2021 წლის 11 ნოემბერი, 14:15 საათი.

აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP74837121;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 748371

4. მოვალე: შპს „სოჰო“ (ს/ნ 416309471), რუსთავი, პავლე თოდრიას ქ. №7, ბინა 95;

მაია ძინძიბაძე (პ/ნ 35001006081), რუსთავი, მ. კოსტავას გამზ., კორპ. 5, ბინა 13;

ნუგზარ ლობჟანიძეს (პ/ნ 35001001874), რუსთავი, მ. კოსტავას გამზ. 5, ბინა 13;

თენგიზ კაპანაძეს (პ/ნ 35001013119), რუსთავი, სუმგაითელ მეტალურგების 14, ბინა 13

5. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

6. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

7. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge:

განაცხადის №71271HZP74838121; ლოტის ნომერი: 748381;

განაცხადის №71271HZP74837021; ლოტის ნომერი: 748370;

განაცხადის №71271HZP74837121; ლოტის ნომერი: 748371;

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 11 ნოემბრის 10:00 საათამდე.

---

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მაია არქანიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: მაია არქანია (პ/ნ 01025001456), თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდ., 4 მ/რ, ს.ტ.უ-ს ს.ს. კორპ. 2, ბინა 105-106

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, პეტრე იბერის ქ. 16ა, E ბლოკი, სართ. 1, ბინა №1 (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.153.01.02.001).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 85670 ლარი;

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2021 წლის 27 ოქტომბერი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2021 წლის 10 ნოემბერი, 14:00 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP74815121;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 748151

6. მოვალე: მაია არქანია (პ/ნ 01025001456), თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდ., 4 მ/რ, ს.ტ.უ-ს ს.ს. კორპ. 2, ბინა 105-106.

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP74815121; ლოტის ნომერი: 748151).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 10 ნოემბრის 10:00 საათამდე.

# განცხადება №1

გაცნობებთ, რომ ნოტარიუს მარიამ კვარაცხელიასთან, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე — ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10, ბინა 28, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, კერძოდ 2015 წლის 29 იანვარს გარდაცვლილი მოქალაქე გიული ჩხაიძის (პ/ნ:01017000125) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების მდებარე ქალაქ ბათუმი, გორგასალის ქუჩა 104 (ს/კ: 05.23.22.009.01.505); ქ. თბილისი, მაჩაბლის ქუჩა №3 (ს/კ: 01.15.05.013.001.01.506); ქ. თბილისი მაჩაბლის ქუჩა №3 სარდაფი (01.15.05.013.001.01.510) უმკვიდროდ ცნობა და სახელმწიფოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. დაინტერესებული პირები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გამოცხადდნენ სანოტარო ბიუროში მისამართზე: ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქუჩა №10 ბინა 28.

# მოკლედ




**კიკბოქსინგი. იტალია. მსოფლიოს ჩემპიონატი. „ოქრო“ — ლუკა შონია.** იგი მეორედ დაეუფლა ტიტულს და საქართველოს ორგზის ჩემპიონიცაა. 21 წლისაა და დაბადებულია ინგუშეთში, სამშობლოში კი მოგვიანებით გადმოვიდა საცხოვრებლად ოჯახთან ერთად. სპორტის ოლიმპურ სახეობაში 12 წლიდან ვარჯიშობს. ფინალში ყაზახი მეტოქე დაამარცხა.

**პარატაეკვონდო. თურქეთი. ევროპის ჩემპიონატი.** „ბრინჯაო“ — **გიორგი ხიზანიშვილი.** მან უბედური შემთხვევის შედეგად დაკარგა ორივე ხელი, როცა 9 წლის იყო. ამჟამად 27 წლის არბოშიკელი (დედოფლისწყაროს რაიონი) შშმ პირი თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრსა და გლდანის დარბაზში ვარჯიშობს, კვირაში — 3-4 დღის განმავლობაში. დეკემბერში ისევ სტამბოლში, უკვე მსოფლიოს ჩემპიონატზე იასპარეზებს.



**წყალბურთი. საბერძნეთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური რაუნდი.** I ტური. „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი) — „დინამო“ (თბილისი) 20:9.

9 ნოემბერს საქართველოს საუკეთესო კლუბი მეორე შეხვედრას ხორვატეთში სპილიტის „იადრანთან“ გამართავს.




**ჩოგბურთი. ავსტრია. ვენის APT500 კატეგორიის ტურნირი.** მერვედფინალი. მატეო ბერეტინი (იტალია) — ნიკოლოზ ბასილაშვილი 6:7, 6:2, 6:3.

**წყალში ხტომა. უკრაინა. კიევის საერთაშორისო ტურნირი.** 150 მონაწილე. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან 14-წლამდელთა სინქრონული ხტომები. **„ბრინჯაო“** — 12 წლის გიორგი წულუკიძე და ალექსანდრე ცხომელიძე.

**ფეხბურთი.** საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის ვერსიით: **კავაზაშვილი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჩივაძე, კალაძე, სულაქველიძე, ყიფიანი, დარასელია, მეტრეველი, პაიჭაძე, მესხი (სისტემა: 4-3-3).**



**ესპანეთი.** „რაიო ვალეკანო“ — „ბარსელონა“ 1:0 (სტუმართა თავკაცი **რონალდ კუმანი** პოსტიდან დაითხოვეს),„რეალი“ — „ოსასუნა“ 0:0.

**იტალია.** „მილანი“ — „ტორინო“ 1:0, „იუვენტუსი“ — „სასუოლო“ 1:2, „ემპოლი“ — „ინტერი“ 0:2.

**გერმანიის თასი.** „გლადბახი“ — „ბაიერნი“ 5:0(!).

**ინგლისის ლიგის თასი.** „ვესტ ჰემი“ — „სიტი“ 0:0 (პენალტებით — 5:3), „პრესტონი“ — „ლივერპული“ 0:2.




◎ რაგბი

## დიდი 10-ის ჩვენია

**მოახლოვდა „ბორჯღალოსანთა“ ნოემბრის სანაკრებო ტესტები, პირველი ქართული ფრენჩაიზი „შავი ლომი“ ორი გამარჯვებით ჩაება ევროპის ზე თასზე და ხვალ სოჭში ახალი საკლუბო ტურნირის ცენტრალურ მატჩს გამართავს კრასნოიარსკის „ენისეისთან“...**

მიუხედავად საერთაშორისო შეხვედრათა გადატვირთული კალენდრის, რაგბის ქართველი ქომაგი დიდი ინტერესით ადევნებს თვალს ეროვნულ ჩემპიონატს, სადაც დიდი 10-ის გუნდებმა უკვე 4 ტური მოილიეს უკან.



ჯერჯერობით უდანაკარგოდ თამაშობს „ბათუმი“, რომლის მგეზავი **მამუკა ნინიძეც** შესაშური სტაბილურობით აგროვებს ქულებს როგორც გარდასახვებით, ისე საჯარიმოებით.

მის უახლოეს მდევარს რუსთავის „ხარებს“ სამი ლელოთი ამჯერად შერკინების კვაჭმა **ლევან ჭავჭავაძემ** ულიდერა.

ამავე დღეს ერთი ლელოთი და 6 გარდასახვით მოპოვებული 17 ქულით „აკადემიის“ მგეზავმა **სანდრო მარგიანმაც** დაგვამახსოვრა თავი.

**IV ტური.** „ბათუმი“ — „ლოკომოტივი“ 38:17, „აია“ — „ხარები“ 14:20, „ყაზბეგი“ — „ყოჩები“ 12:43, „არესი“ — „ლელო“ 22:37, „აკადემია“ — „იუნკერები“ 42:12.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ბათუმი“ — 18, „ხარები“ — 14, „ყოჩები“ 13, „ლელო“ — 12, „ლოკომოტივი“ — 11, „არესი“ — 9, „აკადემია“ — 7, „აია“ — 6, „იუნკერები“ — 4, „ყაზბეგი“ — 1 ქულა.

◎ ტურის წინ

## დარჩა ხუთი გამოცდა

**უკვე გაუწყეთ, რომ მაშინ, როცა „ბათუმს“ თითქმის ყველა ულოცავდა ქვეყნის ჩემპიონობის პირველად მოპოვებას, ზღვისპირელები მოულოდნელად „კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგის აუტსაიდერ „სამტრედიასთან“ დამარცხდნენ და თბილისის „დინამოს“ ტიტულის შენარჩუნების შანსი დაუბრუნდა.**

ამდენად, ფინიშამდე დარჩენილი ხუთივე ტურის შედეგებს ოქროს ფასი დაედო.

ამჯერად კონკურენტზე ადრე **კახი ცხადაძის** შეგირდები თამაშობენ, რომლებიც საკმაოდ კერკეტ კაკალს „თელავს“ უმასპინძლებენ, რომელთანაც ერთხელ უკვე ჭამეს სირცხვილი და რევანშის აღება მართებთ.

რაც შეეხება **გია გეგუჩაძის** გუნდს, მას თავის ქომაგთა წინაშე რეაბილიტაცია საკუთარ ახალ სტადიონზე ევროტურნირების საგზურისთვის მებრძოლ ამბიციურ „საბურთალოსთან“ მეორე დღეს მოუწევს.

„ბათუმი“ — 64, „დინამო“ — 60, „დილა“ — 53, „საბურთალო“ — 50, „ლოკომოტივი“ — 47, „სამგურალი“ — 36, „თელავი“ — 35, „ტორპედო“ — 30, „შუქურა“ — 26, „სამტრედია“ — 20 ქულა.

**31 ოქტომბერი.** „ტორპედო“ — „დილა“, „დინამო“ — „თელავი“.

**1 ნოემბერი.** „სამგურალი“ — „შუქურა“, „ლოკომოტივი“ — „სამტრედია“, „ბათუმი“ — „საბურთალო“.

◎ ელიტა

## ნბა-ს რჩეულნი

**ლიგის 75 წლისთავთან დაკავშირებით ნბა-მ წლევანდელი სეზონის სტარტზევე აირჩია ყველა დროის 75 საუკეთესო კალათბურთელი. ხმის მიცემის პროცესი 3 დღის განმავლობაში გაგრძელდა და მასში მონაწილეობდნენ პრესის წარმომადგენლები, ყოფილი და მოქმედი მოთამაშეები, მწვრთნელები, გენერალური მენეჯერები და კლუბების ხელმძღვანელები.**

რამდენიმე საინტერესო დეტალი: რჩეულებს მოგებული აქვთ 158 ტიტული, 730-ჯერ მიიწვიეს ყველა ვარსკვლავის მატჩში, 110-ჯერ გახდნენ რეგულარული ჩემპიონატისა და ფინალური სერიის MVP, ხოლო სულ კარიერაში 1,5 მილიონზე მეტი ქულა დააგროვეს;

სიაში 11 მოქმედი კალათბურთელია: ანტენტოკუნმპო, ენტონი, კარი, დევისი, დურანტი, ჰარდენი, ჯეიმსი, ლეონარდი, ლილარდი, პოლი და უესტბრუკი;

გამორჩეულთაგან 6 არაამერიკელია: ანტენტოკუნმპო (საბერძნეთი), დანკანი (ვირჯინიის კუნძულები), იუინგი (იამაიკა), ნეში (კანადა), ნოვიცკი (გერმანია) და ოლაჯუონი (ნიგერია), ვერ შევიდნენ პეტროვიჩი და საბონისი.

დავძენთ, რომ ქულების თანაბარი რაოდენობის გამო ვარსკვლავთკრებულში 75-ის ნაცვლად შემდეგი 76 ფენომენი მოხვდა:

აბდულ-ჯაბარი, ალენი, ანტენტოკუნმპო, ენტონი, არჩიბალდი, არიზინი, ბარკლი, ბეილი, ბეილორი, ბინგი, ბერდი, ბრაიანტი, ჩემბერლენი, კოუზი, კოუენსი, კანინგემი, კარი, დევისი, დებუშერი, დრექსლერი, დანკანი, დურანტი, ირვინგი, იუინგი, ფრეზერი, გარნეტი, გერვინი, გრირი, ჰარდენი, ჰავლიჩეკი, ჰეიესი, ჯეიმსი, ჯონსონი, ჯონსი, ჯორდანი, კიდი, აივერსონი, ლეონარდი, ლილარდი, ლუკასი, კარლ მელოუნი, მოზეს მელოუნი, მარავიჩი, მაკადუ, მაკჰეილი, მიკანი, მილერი, მონრო, ნეში, ნოვიცკი, ონილი, ოლაჯუონი, პერიში, პოლი, პეიტონი, პეტიტი, პირსი, პიპენი, რიდი, რობერტსონი, რობინსონი, როდმანი, რასელი, მეიესი, შერმანი, სტოქტონი, თომასი, ტარმონდი, ანსელდი, უეიდი, უოლტონი, უესტი, უესტბრუკი, ლენი უილკინსი, დომინიკ უილკინსი და უორთი.

## ელისო ბოლქვაძე:

# სკოლებში სახელოვნებო საგნების პროფესიონალი მასწავლებლები დაბრუნდებიან...



**კულტურის კომიტეტმა თავის სხდომაზე „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის ინიცირების თაობაზე იმსჯელა. საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, საკითხი შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელოვნებო საგნების მასწავლებლების მომზადებას.**

კომიტეტის თავმჯდომარემ სხდომაზე განაცხადა, რომ დაარსების დღიდან კულტურის კომიტეტი სახელოვნებო განათლების რეფორმაზე მუშაობს, ამასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის ფორმატში არა ერთი შეხვედრა და გასვლითი სხდომა გაიმართა. ადგილზე გაეცნენ არსებულ მდგომარეობას.

**„შეხვედრებისას გამოიკვეთა მრავალი პრობლემა, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სახელოვნებო განათლების სპეციალისტებისა და პედაგოგების სიმწირე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.**

**ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით სახელოვნებო განათლების საგნებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ასწავლიან მხოლოდ ის პედაგოგები, რომელთაც აქვთ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ასეთი სპეციალისტების რაოდენობა არის ძალიან ცოტა. შესაბამისად სახელოვნებო საგნების სწავლება სკოლებში უწევთ არა დარგის სპეციალისტებს, არამედ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს, რაც მიუღებელია და აისახება განათლების ხარისხზე.**

**შესაბამისად, კულტურის კომიტეტის სახელით მსურს საკანონმდებლო ინიციატივის წესით შევიმუშავოთ ცვლილება რომლის მიხედვითაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელოვნებო საგნების სწავლების უფლება ექნება როგორც უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგებს, ასევე იმ ადამიანებს, რომელთაც აქვთ პროფესიული განათლება და არიან თავისი საქმის პროფესიონალები. ეს უზრუნველყოფს ბავშვებისთვის ხარისხიანი სახელოვნებო განათლების მიწოდებას და ამ მიმართულებით საკადრო რესურსების გაზრდას“,** – განაცხადა კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ.

მსჯელობის შემდეგ კომიტეტმა მხარი დაუჭირა ამ საკანონმდებლო ცვლილების ინიცირებას. სხდომაზე კომიტეტმა მეორე მოსმენით, მუხლობრივად განიხილა კანონპროექტი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

პროექტით ხდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვის მექანიზმების კიდევ უფრო გამკაცრება. კერძოდ, მესაკუთრესთან (კანონიერ მოსარგებლესთან) ერთად პასუხისმგებლობა ვრცელდება ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მფლობელზე, რომელიც არ წარმოადგენს მესაკუთრეს.

ასევე ზუსტდება „ძეგლის განადგურებისა“ და „ძეგლის დაზიანების“ ტერმინები, ცალკე გამოიყოფა კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფა დისკრიმანციული ნიშნით. ახლებურად განისაზღვრება უძრავი ძეგლის საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა.

მომხსენებლის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარიას თქმით, კანონის მიღება აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის უფრო ეფექტიანად დაცვისათვის, ძეგლების დისკრიმინაციული ნიშნით ხელყოფის გამოვლენისა და მათზე სათანადო რეაგირებისათვის. დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს კანონპროექტს.

კომიტეტმა ასევე იმსჯელა „შემოქმედებით მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადების თაობაზე. წინადადება ითვალისწინებს შემოქმედებითი კავშირისათვის 2011 წელს მინიჭებული ააიპ სტატუსის შეცვლას სსიპის სტატუსით.

კომიტეტმა ამჯერად მიზანშეწონილად არ ჩათვალა წარდგენილი საკანონმდებლო წინადადების მხარდაჭერა და გადაწყდა, რომ აღნიშნულის თაობაზე მსჯელობა შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლებთან ერთად გაგრძელდეს, რის შემდეგაც კომიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას.

გივი შუღაროვი დიდი მწუხარებით იუწყება რომ გარდაიცვალა ახლო მეგობარი, არაჩვეულებრივი და სამაგალითო პიროვნება, თბილისის ჭეშმარიტი კოლორიტი

## ლევან ჭაჭიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## გარდაიცვალა ლევან ჭიჭიაშვილი...

ძალიან ცოტანი დავრჩით ძველი ვერელები.

ნახვამდის ლევან!

შენი ბავშვობის, სკოლის, ქუჩის „ბირჟის“ და სპორტის მეგობრები

**იური ოსიპოვი, გივი და თემურ ცაგარელები (კალანდაძის ქუჩელები), გურამ ჯაიანის ოჯახი.**

სს „გრინერის“ (ყოფილი სს „თბილისის მაკარონის ფაბრიკის“) თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ზურაბ კუპრაშვილს და კახაბერ კანდელაკს მძახლის

## კაკო ქართლოსიშვილის

გარდაცვალების გამო.



# მსოფლიო პატრიარქი აშშ-ის პრეზიდენტს შეხვდა

**გრძელდება მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოს I-ის ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.ერთდღიანი მკურნალობის დასრულებისა და საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ, პატრიარქის ვიზიტი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს.**

ორშაბათს, 25 ოქტომბერს, ყოვლად უწმინდეს პატრიარქ ბართლომეოსს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა თეთრ სახლში უმასპინძლა. შეხვედრა მეტად გულთბილ ვითარებაში წარიმართა.

როგორც ამერიკის მთავარეპისკოპოსი ელპიდოფორე სოციალურ ქსელ „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე იუწყება, პატრიარქი ბართლომეოსი პრეზიდენტ ბაიდენს ესაუბრა პოლიტიკური ლიდერების მიერ მსოფლიოში კლიმატური კრიზისის დასაძლევად მყისიერი მოქმედებების აუცილებლობის შესახებ, ასევე – განვითარებადი ქვეყნებისათვის კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის მიწოდების თაობაზე. საუბარი აგრეთვე შეეხო ხალკის სასწავლებელსა და მის სამომავლო ბედს.

თეთრ სახლში მისვლამდე მსოფლიო პატრიარქი შეხვდა აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენს. მდივანმა გულთბილი სიტყვებით მიმართა პატრიარქს და გაიხსენა 2011 წელს თავისი ვიზიტი სტამბოლში, იმხანად ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან ერთად, როდესაც მათ მსოფლიო პატრიარქმა ფანარში უმასპინძლა.

# აზრები უკვდავებაზე –

## ვიქტორ რცხილაძის ახალი თარგმანები




**ადამიანს, მათ შორის, არამორწმუნეს, ოდითგანვე აფიქრებდა სიკვდილისა და უკვდავების თემა. თუმცა უმრავლესობა ადამიანის ყოფის ამ მთავარ საკითხს არ ულრმავდება, გაურბის საეკლესიო მამების სწავლებათა კითხვას.**

ვიქტორ რცხილაძე დიდი ხანია, ილვწის საიმისოდ, რომ თანამედროვე ადამიანი დაინტერესდეს რწმენის საკითხებით, ეძებოს გზა რწმენისკენ. ამ მიზნით იგი თარგმნის ახალი ეპოქის ავტორებს – ფილოსოფიისა და თეოლოგიის კორიფეებს, რომლებიც თანამედროვე ენით წერდნენ.

ამჯერადაც, გამომცემლობამ „Carpe diem“ დასტამბა ვიქტორ რცხილაძის თარგმანების ახალი კრებული, რომელიც სწორედ უკვდავების საკითხებს შეეხება. კრებულს ასე ეწოდება – „მე-20 საუკუნის დიდი ფილოსოფოსებისა და თეოლოგების აზრები უკვდავებაზე“ და შედგება შემდეგი ავტორებისაგან: **რომანო გუარდინი, ვოლფჰარტ პანენბერგი, გეორგ ზიმელი, ანტონ ნოიჰოიზლერი** და **ნიკოლაი ლოსკი**.

კრებულის შეძენა შესაძლებელია თბილისში, რუსთაველის გამზირის 16 ნომერში, ასევე წიგნის მაღაზიებში „პარნასი“, „ლატერნა“ და ილიას უნივერსიტეტის წიგნის სახლში.

# საბავშვო ბაღები დევნილთა დასახლებაში



**ზუგდიდსა და წყალტუბოში დევნილთა დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე, 100 აღსაზრდელზე გათვლილი, საბავშვო ბაღი აშენდა. ზუგდიდში შესრულებული სამუშაოები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ, დევნილთა სააგენტოს დირექტორმა ბესარიონ სიმონიშვილმა და ზუგდიდის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი ჩიქოვანმა მოინახულეს.**

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, ევროპული სტანდარტების შესაბამისად, სრულად არის აღჭურვილი და ბავშვებისთვის საუკეთესო გარემოა შექმნილი. პროექტი გერმანიისა და საქართველოს მთავრობების თანამშრომლობის შედეგად გამოყოფილი გრანტის ფარგლებში ხორციელდება და ქვეყნის მასშტაბით, დევნილთა დასახლებებში, 7 საბავშვო ბაღის მშენებლობასა და 3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების სრულ რეაბილიტაციას ითვალისწინებს. სამუშაოების დიდი ნაწილი უკვე დასრულებულია.



# ვის აქვს შოვი რაჭისთანა...

◉ მთათა საუფლოში

**ახლახან გახსნილი ზემო იმერეთისა და რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სიკეთის შესახებ ჩვენი გაზეთის მკითხველი უკვე ინფორმირებულია, ოთხშაბათის „იმედის დილის“ სატელევიზიო სიუჟეტმა კი საქართველოს მარგალიტის კიდევ ერთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ გვაუწყა.**

საუბარია ზღვის დონიდან 1500 მეტრზე 1928 წელს **შამშე ლეჟავას** დაარსებული საქვეყნოდ განთქმული სამკურნალო-ბალნეოლოგიური კურორტის – შოვის რეაბილიტაციის პროექტზე, რომელსაც ავსტრიელთა ჩართულობით კომპანია „სიმეტრია“ განახორციელებს, ხოლო თვით ინვესტიცია 50 მილიონს ითვალისწინებს.

სხვათა შორის, ისიც შევიტყვეთ, რომ საოცრების შექმნის იდეა დაახლოებით საუკუნის წინათ სწორედ ვენაში სწავლისას გასჩენია მის ავტორს, ულამაზესი რეგიონის ზღაპრულ ბუნებაში, ცადაზიდული ბუმბერაზი ამაყი მთების, წიწვოვანი ტყეების, აგრეთვე 25 სახეობის უნიკალური მჟავე წყლების საუფლოს კი თურმე ერთი ლეგენდა უკავშირდება: შოვის დაბადების დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე მოწვეული სტალინი და ბერია ქუთაისში წასახემსებლად შეჩერებულან, მაგრამ ბელადი ისე მოწამლულა, რომ დანიშნულების პუნქტამდე ველარ ჩამოუღწევიათ და ისე გაბრუნებულან ზესახელმწიფოს დედაქალაქში.

სამაგიეროდ, ვისაც ერთხელ მაინც დაუსვენია და გაუკაჟებია ჯანმრთელობა აღნიშნულ წალკოტში, კარგად ემახსოვრება, რომ მათი სახელობის პანსიონატები მაინც ამშვენებდა იქაურობას ისევე, როგორც ცეკავშირის, სამთო ქიმიის, „მთის ბროლი“ რომ ერქვა, თუ სხვა მრავალი. ადგილობრივ მეპურეთა გამომცხვარი გიგანტური ფუმფულა „ბუხანკების“ გახსენებაზე ხომ ბევრს დღესაც ნერწყვი მოსდის.

ბუნებრივია, იდეის ხორცშესხმისას მის თაოსნებს არც სპორტულ-ტურისტული მიმართულება დაავიწყდებათ და, როგორც გაცხადდა, განზრახული აქვთ, უფლისგან ბოძებული შესაძლებლობით ბოლომდე ისარგებლონ და ოთხივე სეზონზე გათვლილი სასწაულით დააგვირგვინონ ის სამუშაოები, რომელსაც გაისად გაზაფხულზე დაიწყებენ.

რაც შეეხება ამ მოცულობითი ინფრასტრუქტურული მარათონის დასრულების შემდეგ ნავარაუდევ ფასებს, როგორც სიუჟეტიდან დაგვამშვიდეს, იგი ყველა სოციალური ფენისთვის იქნება მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომი.

მოკლედ, საჩხერე – ონის ნანატრი ავტომაგისტრალის გახსნამ ყინული გაალღო და ზემო რაჭისთვის ყოველმხრივ ჟანგბადის ბალიშად იქცა.

**გია პლატონიშვილი**

◉ ისევ რეკავს დედოზარი

## ჩაშხამებული ნიკოლოზობა

**ქუთაისი არასდროს დაივიწყებს**
**2009 წლის 19 დეკემბერს**

**ვეღარ** მოზომა სულით ბოზობა,
ორიათას ცხრის ჩაგვიშხამა ნიკოლოზობა,
**მაგრამ ბიბლიას,** აფეთქებულს ქართულ ტაძარში,
დაბრუნებული **„მზეჭაბუკი“** მაინც გადაშლის
და წაგვიკითხავს, ვის განიკითხავს!

## ქამი ნაც-ეკალს წალეკავს

**ქუთაისს** ახსოვს იმ სატანის ჰეროსტრატობა,
ვინც საქართველო სისხლიანი კვალით დატბორა!
**მემორიალთან** ვინც მოგვიკლა ნინო და ეკა,
დღეს რომ თავხედობს და არ უსმენს ზარების რეკვას,
არადა, ზარი რადგან ისმის, **მიხოს ნაც-ეკალს**
მალე წალეკავს, სამუდამოდ მალე წალეკავს!

## ხმა იმიერიდან

**ალმა მატერთან,** საქართველოს მთავარ შარაზე,
მრავალთა თვალწინ დაგვიხვრიტეს **გურამ შარაძე.**
და ხვალ რომ მაინც ავიცილოთ ტანჯვა და კვნესა,
ბრმათაც და ყრუთაც წამებულის ხმა ჩამოესმათ:
„ფუი სატანას, ნუთუ ფიქრობთ მაგის ატანას?!“

## იმედი ხვალის!

**არჩევანის** წინ რაც გვაბადია,
თბილისის გულის აბულბულებით,
ეს დიდებული ოთხშაბათია,
განსხვავებული სხვისგან სრულებით.
ჩვენს დროშას უკვე ვერავინ გახრის,
ეს რწმენა არის ქართველი ხალხის!



**ალექსანდრე შენგელია**

## ბეზოსის კომპანიის კერძო კოსმოსური სადგური




**Amazon-ის დამფუძნებლის, ჯეფ ბეზოსის კომპანია Blue Origin საკუთარი კოსმოსური სადგურის აშენებას გეგმავს, რომელსაც კომერციული მიზნებისთვის გამოიყენებენ. გავრცელებული ინფორმაციით, პროექტს მხარს უჭერენ სხვადასხვა მსხვილი კომპანიები და არიზონის უნივერსიტეტი.**

სადგურის სახელწოდება Orbital Reef („ორბიტალური რიფი“) იქნება და ის კოსმოსში ერთგვარი „ბიზნეს-პარკი“ გახდება. ანონსის მიხედვით. სადგურს დედამიწის ორბიტაზე მიმდინარე ათწლეულის მეორე ნახევარში გაუშვებენ. მისი ფართობი დაახლოებით 3 ათასი კვადრატული მეტრი იქნება და იქ ერთდროულად 10-მდე ადამიანი შეძლებს განთავსებას.

Blue Origin-ი კოსმოსური სადგურის პროექტზე დაახლოებით ერთი წელია მუშაობს.

## ხანძრის გაჩენას რუსებს აბრალებენ



**თურქეთში ტყის მასშტაბური ხანძრების გაჩენაში ეჭვმიტანილი შვიდი რუსი ტურისტი დააკავეს. ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.**

ფაქტს რუსეთის გენერალური საკონსულო ადასტურებს. 24 ოქტომბერს სასამართლომ მათ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.


## ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**ჩვენი ანგარიშია:** №GE19TB7601536020100009.

**(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე –
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 1 ნოემბერს**

**ოფიციალური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 3.1557; ევრო - 3.6581;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.3299;
100 რუბლი - 4.4915; თურქული ლირა - 0.3314;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8554;
1000 სომხური დრამი - 6.6093.

**ამინდი 29 ოქტომბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე | +17 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე | +13 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე | +18 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე | +15 |
| თბილისი: | ღამე | +5, | დღე | +15 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge